

იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის
მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის,
უწმიდესისა და უნეტარესის **ილია II-ის ლოცვა-კურთხევით**

„როცა ვფიქრობთ იმაზე, თუ რა არის ქართუ-
ლი იდეა, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართველი
ერის დანიშნულებაა – იქადაგოს ჭეშმარიტი სარ-
წმუნოება. ხომ არსებობს წინასწარმეტყველება,
რომ საქართველო, ქართველი ერი უკანასკნელ
ჟამს გაბრწყინდება. ვიცით სახარებიდან, რომ უკა-
ნასკნელ ჟამს ყველგან დაეცემა რწმენა, ზნეობა,
საქართველო კი ღვთის მადლითა და წყალობით
გაბრწყინდება და ჯილდოდ ამისა, როგორც დიდი
მამა და მოღვაწე ამბობს, მეორედ მოსვლის ჟამს
მთელი ქვეყნიერება განიკითხება „ქართულითა
ენითა“. ეს იქნება კიდევ ერთი მადლი, რომელ-
საც მოგვანიჭებს უფალი. მადლობას ვწირავთ
ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას, რომელმაც
ინება, რომ იყოს პატრონი საქართველოსი... “

**უწმიდესი და უნეტარესი
ილია II**

ISSN 1987-5207

ISBN 9771987520003

შპკ (UDC) 27 + 271.2

მ – 407

	სსამეგრე ქართულ-გაერეთში სარეგისტრაციო სამსახური	მიმდინარე რეგისტრაციის № <u>10</u>
	ბირთვითი რეგისტრაციის №	<u>25.02.13</u> თარიღი
დასახელება: <u>ქუჩისა და მუხარეზი</u>		
რეგენზენტი: <u>მედიკალინა ჯანაყაძე</u>		

შინაარსი

„ერთსულ და ერთზრახვა იყვენით“.....4	მღვდელ-მოწამე სიმონ მჭედლიძე ღვთისმსახურების შესახებ.....26
მარიამ ნიაური რწმენის გოდოლი.....8	ტაძარში ქცევის წესები.....34
ღირსი მამა გაბრიელი, აღმსარებელი და საღვთისმღვდელი (მოგონებები).....14	მინდია ლაშაური „ფიქრები საქართველოზე“.....35
არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე) საკვირაო ქადაგება.....22	ქართული ენა.....40
მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი) სიტყვა.....24	მარიამ ქსოვრელი ქართული სამოსელი.....44

რედაქტორი:

მარიამ ნიაური

სარედაქციო კოლეგია:

არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)
ილუმენია ქეთევანი (კოპალიანი),
მონოზონი სოსანა (კუპრეიშვილი).

პასუხისმგებელი მდივანი:
მონოზონი ბარბარე (იაკობაძე).

მისამართი: მცხეთის სამთავროს

წმიდა ნინოს ღვთაძის მონასტერი.

მირიან მეფის ქუჩა N 3

ტელ: 893 76 31 87; 893 30 07 07

ელ.ფოსტა: samtavrosmonasteri@yahoo.com

ანგარიშის ნომერი: GE65BG0000000158107700

~ ERTSUL DA ERTZRAXVA IYVENIT ~



მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები საქართველოში

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაბადებიდან 80 წლისთავის და აღსაყდრებიდან 35 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეები ქართველი ერისა და სრულიად მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენად იქცა. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ აღნიშნა, რომ „ეს იყო ფაქტი, როგორიც, ალბათ, 2000 წლის მანძილზე არ ყოფილა – სამმა პატრიარქმა დალოცა ახალი წელი და სრულიად საქართველო“. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სატეთმპყრობლის ირგვლივ ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური შეიკრიბა. მსოფლიო მართლმადიდებელმა ეკლესიამ ერთობლივი წირვა აღავლინა ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძარში. როგორც ალბანეთის მიტროპოლიტმა დიმიტრიოსმა აღნიშნა: „ეს იყო უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მსახურებაზე გარდამოვლენილი

ერთი წმიდა კათოლიკე ეკლესიის კურთხევა, როცა ერთი ასო იდიდება – იდიდების ყოველი ასონიო“.

ეკლესიის ისტორიაში ძნელია, ალბათ, ანალოგი მოიძებნოს ფაქტისა, როცა მართლმადიდებელი ეკლესია ერთობით, საჯაროდ მოწმობს ამქვეყნად მსახურებაში მყოფი სატეთმპყრობლის დეაწლისათვის და აცხადებს, რომ უწმიდესი ილია II არის „ერთი წმიდა კათოლიკე ეკლესიის დოგ-



„სამმა პატრიარქმა დალოცა ახალი წელი და სრულიად საქართველო“

მატების წმიდად დამცველი“ და „სადმართო ჭურჭელი“ (ათენისა და სრულიად ელადის მიტროპოლიტი კირილე). მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურებმა მოციქულებრივი ღვაწლით სახელდევს უწმიდესის და უნეტარესის ილია II-ის თავგანწირვა, რომლითაც მან თავისი სამწყსო

ნოებისა და ეროვნული ფასეულობების მტრებს. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საზეიმო დღისათვის ბრძანა: „ეს დღე ჰგავს დღესა მას აღვსებისასა – აღდგომას. დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი!“... „ჩვენ ვხედავთ ჩვენი ეკლესიის აღმავლობას და დიდებას.



ჩვენ უნდა ვიცოდეთ რუსეთის იდეა. რუსეთის იდეა არის სულიერების დაცვა. თქვენ იცით, რომ დღეს, გლობალიზაციის პროცესში, ფასეულობათა დაპირისპირება ხდება. რუსეთსა და საქართველოს უზარმაზარი სულიერი ფასეულობა გააჩნია. და ჩვენ გვმართებს, დავიცვათ იგი – დავიცვათ ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოება. მართლმადიდებლობამ გვიხსნა ჩვენ და იხსნა რუსეთი...”

უწმიდესი და უნეტარესი ილია II

ადიტვირთა და გამოარიდა ქართველი ერი ეკუმენიზმს თუ სხვა ყოველგვარი სახის ღვთის გმობას, რომელიც „გლობალიზაციის“ სახელით ეშურება მართლმადიდებელ ერებს. საგულისხმოა, რომ საუკუნეთა მიჯნაზე, აპოსტასურ გარემოში მყოფი მსოფლიო მართლმადიდებელი სამყარო, მართლმადიდებლური გარდამოცემის ძალმოსილებას საქართველოს ადგილობრივ ეკლესიაში აცხოველებს, რომლითაც ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიამ აღმსარებლური ღვაწლი უნდა ადასრულოს და წინაღუდგეს სარწმუ-

დავით წინასწარმეტყველმა ისრაელი რომ გააერთიანა და ზეიმით შედიოდა იერუსალიმში, მთელი ერი აქებდა მას, მან კი გააჩერა მსველელობა და უთხრა: „უფალი მეფობს და არა მე“. დღეს, როდესაც აღინიშნება ჩემი აღსაყდრების და დაბადების დღის თარიღები და როდესაც ამბობენ, რომ მე რაღაც გავაკეთე, მინდა გითხრათ, რომ ამ ყველაფერს უფალი აკეთებს, რადგან უფალი მეფობს. ღმერთმა მოგცეთ მშვიდობა, სიხარული და სიყვარული.“

ADGI LOBRIVI MART L MADIDEBE L I EK LESIEBIS WARMOMADGEN L EBI SANTAVROS WMIDA NINOS DEDATA MONASTERSI


სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით, საქართველოში სტუმრად მყოფმა მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალიერარქებმა მოილოცეს სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი. სტუმრებს შორის იყვნენ: ბულგარეთის საპატრიარქო ტახტის თანამოსაყდრე, მიტროპოლიტი კირილე, ჩეხეთისა და სლოვაკეთის მიტროპოლიტი, უნეტარესი ქრისტეფორე, ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი და სხვა მაღალიერარქები. სტუმრებმა თაყვანისცეს წმიდა აბიბოს ნეკრესელის, წმიდა მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის და წმიდა აღმსარებელისა და სალოსის, ღირსი მამა გაბრიელის სამარხებს. მოილოცეს კოშკი, სადაც ღირსი გაბრიელ ბერი მოღვაწეობდა. სტუმრებმა მადლიერება გამოხატეს უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მიმართ, რომელმაც მათ წმიდა ნინოს მოღვაწეობის ადგილის მოლოცვის პატივი და სიხარული მიანიჭა.





RWMENIS GODOLI

„ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა,
მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა.“
მათე 10. 32-33



ღირსი მამა გაბრიელი
აღმსარებელი და სალოსი

ღირსი მამა, აღმსარებელი და სალოსი, არქიმანდრიტი გაბრიელი ქართული საბერ-მონოზენო სკოლის სიქადულია, რომელიც „ჩვენ შორის იყო და ჩვენ ვერ ვიცანით“. იგი ბეთანიელი წმიდა მამების: ღირსი იოანეს (მაისურაძე) და ღირსი იოანე-გიორგის (მხეიძე) მოწაფე იყო და მათგან უშუალოდ მიიღო ის ცოცხალი გარდამოცემა, რომელიც ათცამეტმა ასურელმა მამამ დანერგა საქართველოს ეკლესიაში. ბეთანიელი მამების სულიერი მემკვიდრის, წმიდა გაბრიელ ბერის მოღვაწეობის დასაწყისი, საბჭოეთში, 1960-იან წლებში ხე-

ლახდა აღმოცენებულ ეკლესიის დევნას თანხვდება. 1958 წელს საბჭოთა რეჟიმმა გამოაქვეყნა დადგენილება „მონასტრების შესახებ“; რომლის თანახმად, მრავალი ეკლესია-მონასტერი დაიხურა და სამღვდლოება ყოველმხრივ შეავიწროვეს. ყოველივე ეს 1962 წელს რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების ე. წ. ეკუმენისტური კავშირში გაწვევრიანებით დასრულდა.

ბერი გაბრიელი იმხანად ერთადერთი სასულიერო პირი იყო, ვინც დევნის ჟამს არა ოდენ გულით, არამედ სიტყვით და საქმით წინაღუდგა უახლესი ისტორიის კერპთაყვანისმცემლებს: კომუნისტებს და დემოკრატებს. ყოველივე ამის ფონზე, როცა ერთადერთი მოქმედი მამათა მონასტრის, ბეთანიის უკანასკნელი ბერი, წმიდა იოანე (მხეიძე) გარდაიცვალა, მთავრობამ მონასტერი დახურულად გამოაცხადა; იქ წირვა-ლოცვა აკრძალეს და მამა გაბრიელი მონასტრიდან გამოაძევეს. აქედან მოყოლებული, ღირსი ბერი გაბრიელის სულიერი მოღვაწეობა განუყოფლად უკავშირდება მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერს, რომლის მიმართ მისი მოძღვარი, ღირსი იოანე-გიორგი, დიდი მადლიერებით იყო განმსჭვალული, რადგან ბოლშევიკებისაგან სიკვდილმისჯილი, „დახვრეტილი“ და ღვთისგანგებით, ცოცხლად გადარჩენილი, სისხლდაღენილი მივიდა სამთავროს დედებთან, რომლებმაც შეიფარეს და განკურნეს წმიდა მამა.

1963 წელს სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის ტერიტორიაზე სასულიერო სემინარია გაიხსნა და უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სემინარიის და დედათა მონასტრის მოძღვრად დანიშნა ღირსი მამა გაბრიელი. ამავე პერიოდში იგი თბილისის ყოვლადწმიდა სამების

ტადრის მოძღვარია და ხელისუფლები-საგან გამუდმებული წნეხის ქვეშ იმყოფება. მამა გაბრიელის უკომპრომისო ბრძოლა ხელისუფლების მიმართ, საკუთარ ეზოში მის მიერ აგებული ეკლესიითაც გამოიხატა, რომელიც არაერთგზის დაუნგრირეს, მაგრამ ბერი კვლავ აღადგენდა მას. მღვდელ-მონოზონი გაბრიელი განსაკუთრებით იღვწებოდა, რადგან იგი იმ რამოდენიმე მოღვაწეთაგანი იყო, ვინც ჭეშმარიტ საღმრთო გადმოცემას იმარხავდა და ვინც ბერ-მონოზონური ცხოვრების დიდებულებით იყო მოსილი. სწორედ ამ ეკლესიურ სულს ებრძოდა და ებრძვის ანტიმართლმადიდებლური ძალა. ბერი გაბრიელი საქართველოში ამ ეკლესიური ცნობიერების, ბერული სულისკვეთების გადარჩენას ეწირებოდა. სწორედ ამისთვის განკვირდებოდნენ მისი მხილველი ქართველი თუ უცხოელი მართლმადიდებელი იერარქები, რომელთაგან ერთ-ერთმა, წმიდა ათონის ქსეროპოტამის მონასტრის წინამძღვარმა ასე აღმოთქვა: „ასეთი დიდი ბერი ჩვენც არა გვყავსო“. და ერთხელ, როდესაც წმიდა ათონის მთაზე მოღვაწეობა შესთავაზეს, ბერმა უპასუხა: „ჩემი ათონი და ჩემი იერუსალიმი აქ, საქართველოშიაო“.

საყოველთაოდ ცნობილია, 1965 წლის 1 მაისს წარმართა აღლუმზე, როდესაც ანტიქრისტეს მსახურის, ლენინის, კერპი იდიდებოდა, მამა გაბრიელმა ცეცხლს მისცა ანტიქრისტეს მსახურის 12 მეტრიანი გამოსახულება კერპისა და სამსჯავროზე განაცხადა: „დიდება ქრისტე ღმერთს ეკუთვნის და არა ძაღლის კერპსაო“ სასულიერო თუ საერო საზოგადოების დიდი ნაწილი მამა გაბრიელის ამ საქციელს დღემდე სულიერ აშლილობად ან ემოციურ ქმედებად მიიჩნევს; მაგრამ ცოტა თუ აცნობიერებდა მაშინ და დღესაც, რომ ეს იყო უაღრესად მნიშვნელოვანი სულიერი ბრძოლა, რომლის მსგავსიც პატერიკებში

მრავლად გვხვდება და რომელთაგან აქ წმიდა ნინოს მიერ კერპების მსხვერვა და წმიდა აბიბოს ნეკრესელის მიერ წარმართთა ცეცხლის ჩაქრობის მაგალითი შეიძლება მოვიხმოთ.

ბერი გაბრიელი საბჭოურ კერპებს შეებრძოლა, იგი დააპატიმრეს, დახვრეტა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წამებით შეუცვალეს... ღირსი მამა მოწამედ არ აღესრულა, არამედ – ღვთის განგე-



წმიდა აღმსარებელნი: ღირსი იოანე (მაისურაძე) და ღირსი იოანე-გიორგი (მხეიძე)

ბით, აღმსარებლური დვაწლი იტვირთა, რომელსაც მთელი ცხოვრება სალოსური სამოსლით ფარავდა. მოძღვარს პოლიტიკურ ბრალდებებს უყენებდნენ და აიძულებდნენ ეკლესიაზე ცილისწამებას, „თანამონაწილე“ სასულიერო პირთა დასახელებას. ბერი გაბრიელი მედგრად იდგა, არ შეყოყმანდა და ხორციელი გადარჩენისთვის, სული არ გაწირა. იგი მარტოდ წარმდგარიყო ბოროტთა სამსჯავროზე, ნებისით მრავალგუნებული, რომელმაც ასე აღმოთქვა: „დიდ არს ქრისტე ღმერთი, დიდ ხარ შენ ქრისტე ღმერთო და საკვირველ არიან საქმენი შენნი!...“

როდესაც ეკლესიის იერარქები დროის სულისკვეთებას ეძლეოდნენ, ის ერთ-



ცხოველსმოფული სვეტის ნაწილი.

დერთი ბერი იყო, რომელიც ხმას იმაღლებდა მოდერნისტულ-ეკუმენისტური მწვალებლობების წინააღმდეგ. ღირსი მამა მრავალი ქართველი აღმსარებელის და სალოსის გზას აგრძელებდა, რომლებიც ხშირად მეფე-დედოფლებს და პატრიარქებსაც ამხელდნენ. აღმსარებლური ღვაწლი, საეკლესიო სწავლებით, მოწამეობრივ ღვაწლს უტოლდება და იგი საყოველთაო დაცემის, დევნილების დროს იჩენს ხოლმე თავს. საქართველოს ეკლესიის ისტორიაში მრავალი აღმსარებელი განდიდებულა, რომელთაგან, უკანასკნელ, გაბრწყინდნენ წმიდა კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია, ღირსი იოანე (მაისურაძე), ღირსი იოანე-გიორგი (მხეიძე) და მათ შემდეგ – ღირსი მამა, აღმსარებელი და სალოსი, არქიმანდრიტი გაბრიელი. მას არც იარაღი რამ ჰქონია და არც „ტანკი“, როგორც თავად იტყოდა, არამედ იგი სულიერი ძალმოსილებით, სიყვარულის იმ იარაღით იბრძოდა, რომელიც მხოლოდ ღვთივრჩეულებს ენიჭებათ. ჩვენი დროის ერთ-ერთი დიდი ბერი, გაბრიელ აღმსარებელი და სალოსი, პირადი მსხვერპლშეწირვის მაგალითით ამხნევებდა და აღძრავდა ადამიანებს, რათა ანტიქრისტიანულ ძალთა უზნეობას წინ აღდგომოდნენ. ყოველივე ამის სანაცვლოდ კი იგი დაცინვას, შეურაცხყოფას, ირონიას იღებდა სასულიერო თუ საერო პირთაგან. და რა გმირულად, რა დიდებულად იდგა იგი, მდაბალი და დაწუნებული, ჩვენთვის

და ჩვენი დაცემისათვის მოტირალი.

წმიდა მამა 1980-86 წლამდე სამთავროს მონასტერში ხშირად რჩებოდა. იგი იღუმენია დედა ანას (აჭაიძე) სულიერი მოძღვარი იყო და სიკვდილის სარეცელზე მისგან მიიღო წმიდა ზიარება. იღუმენია ანას გარდაცვალების შემდეგ, ღირსი გაბრიელ ბერი შიომღვიმის მამათა მონასტრიდან გადმოვიდა და საღვთო გამოცხადებით, ცხოვრების აღსასრულამდე დაემკვიდრა სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში; სადაც მისი სენაკი ჯერ ფარდალადა საქათმე იყო, ხოლო მოგვიანებით – წმიდა მირიანის გოდოლი (კოშკი). ბერი გაბრიელი კვირის მანძილზე გამოიკეტებოდა სენაკში და ასკეტურ ღვაწლს მიეცემოდა. იგი პირადი მაგალითით აღძრავდა ერსა და ბერს, ღვთისა და ერის სიყვარულში. იმავე დროს, წმიდა მამა უხმოდ და უჩინრად, სალოსური შმაგობით ირიდებდა ხელისუფალთა და ოკუპტურ ძალთა თვალთვალს. ღირსი მამა მართლმადიდებელი საქართველოს სადარაჯოზე, „მაყვლოვანში“, მოციქულთასწორ წმიდა ნინოს და მოციქულთასწორ, პირველ ქრისტიან მეფე-დედოფლის, მირიანისა და ნანას სამკვიდროში დაადგრა. კოშკი, სადაც ბერი გაბრიელი მოღვაწეობდა, მომლოცველებს ვერ იტევდა. 80-90-იან წლებში ღირსი მამის ღოცვა-კურთხევას ეშურებოდა ერი და მის გარშემო შემოკრებილები საღმრთო სიყვარულის ცეცხლით თბებოდნენ. სიყვარულის ღამპარი, რომელიც წმიდა გაბრიელ ბერმა სამთავროს მონასტერში აღანთო, დღემდე ათბობს მონასტერს და ამ სიბოროტე ეტანება დღესაც მის საფლავზე ყოველი სული შემუსვრილი, რომელიც მისგან კურნებას იღებს.

უნდა აღინიშნოს, რომ 90-იან წლებში მამა გაბრიელს ხილვით ეუწყა, ადგილი, სადაც მონასტრის უდიდესი სიწმიდე, ძელიცხოვლის ნაწილი განისვენებდა. ღირსმა მამამ მოიძია ეს სიწმიდე და ისე გამოაბრძანა ნიშიდან, როგორც მისმა მოსახელე ათონელმა ბერმა გამოაბრძანა

ზღვიდან ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი. ძელიცხოვლის ნაწილი ამჟამად მონასტერშია დაბრძანებული.

ბერი გაბრიელის ღვაწლი, როგორც სულიერი მამისა და მასწავლებლისა, აღუწერელია. იგი უბადლო ქადაგი და გულთამხილავი, წინასწარმეტყველი და მკურნალი იყო. ქადაგებისას ბერი ძველქართულით ამეტყველდებოდა. მოვლენებზე სხვა სიმაღლიდან გადმოახედებდა მსმენელებს და უბრალოებით, ყოვლადმიმტევებლობით წმიდა მამა ხან სინანულის ცრემლით ატირებდა მსმენელს, ხანაც უცხო სიხარულით აღადგენდა. მრავალგზის უნახავთ გაბრიელ ბერი ღვთისმშობლის ხატის წინ მოტირალი და საქართველოსთვის მღალაღებელი. იგლოვდა ქართველთა დაცემას, ურწმუნოებას და ცრუმორწმუნეობას: „ჩემთან მოდიან და ტაძარში არ შედიან სალოცავადო!“ სიყვარულის სხივმდინარი თვალებით იგი ზოგჯერ ღრმად გაკვეთდა მსმენელის გულს და მასში ღრმადჩამჯდარ ცოდვის მწვირეს ამოწმენდა. „დაიხოქეთ, წინაშე უფლისა!“ – შესძახებდა გაბრიელ ბერი თვისთა და



უწმიდესი და უნეტარესი ილია II, ღირსი მამა, აღმსარებელი და სალოსი, არქიმანდრიტი გაბრიელი (ურგებაძე), იღუმენია ზოილე (დვალიშვილი), იღუმენია ანა (აჭაიძე), მონოზონი ეფემია (ხიზანიშვილი), სქემმონოზონი სოსანა (უროტაძე) და სხვანი.

უცხოტომელთაც და ისინიც ნირწამხდარნი მუხლს იდრეკდნენ. ახლადშემონოვნებულებს ზოგჯერ საღვთო სჯულის სწავლებაში გამოსცდიდა და ცდომილებს მკაცრად მოაქცევდა მართლმადიდებელურ სწავლებაზე. მორჩილებს სამონასტრო ტიპიკონზე ხან სიტყვით, ხან მაგალითით, ხან სასჯელით და ხანაც დაყვავებით დაადგინებდა, უნანველად წიგნის მკითხველს კი ამხედდა: „ოპერაა აქაო?!“

წმიდა გაბრიელ ბერის კანონიზაციით და მისი ღვაწლის წარმოჩენით, დედა ეკლესიამ აღმსარებელურ ღვაწლზე მოგვიწოდა და შეგვახსენა, რომ ბოლო ჟამს, როცა მართლმადიდებლური ფასეულობა ხელყოფილია და ღია პროპაგანდა ხდება ოკულტურ-სატანური ზრახვებისა, უმოკლესი გზა ცხოვნებისა არის აღმსარებლური ღვაწლი; და რომ ჩვენი ასპარეზი, ჩვენი გოლგოთა არის ჩვენს სულში და იქ, სადაც ვდგავართ და ვმოდგავწეობთ, და რომ მართლმადიდებლები უნდა „ვეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილს“. დასასრულ, ვსასოებთ, რომ უწყებისამებრ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა: „მამა გაბრიელი კიდევ მეტს გააკეთებს საქართველოსთვის“.

მარიამ ნიაური



„MAMA GABRIELI MOMAVALSI UFRO

„მამა გაბრიელი წლების მანძილზე იყო აღმსარებელი, ამავე დროს სალოსი. ვერ გაიგებდი, სად ამბობდა პირდაპირ და სად, გადატანით. მაგრამ ყველაფერს იმისთვის ამბობდა, რომ ადამიანი გადაერჩინა, დაეყენებინა ღვთის გზაზე. და ეს არის საოცრება. ჩვენ ბევრი წმიდანი გვყავს, მაგრამ ეს განსხვავდება. ჩვენ კარგად ვიცნობდით მას...

მამა გაბრიელი, რომელსაც ეწოდა აღმსარებელი და სალოსი, მომავალში უფრო მეტად დაეხმარება საქართველოს“.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II



METAD DAEXMAREBA SAQARTVELO~



RIRSI MAMA GABRIEL I, ARMSAREBEL I DA SAL OSI

MOGONEBEBI

იღუმენია ქეთევანი

წმიდა მამა გაბრიელს ახასიათებდა უსაზღვრო სიყვარული ღვთისა და მოყვასის მიმართ. ბერი ყოველ ადამიანში ღვთის ხატებას ხედავდა და უკიდურესად დაცემული ადამიანი კიდევ უფრო მეტად ეწყალებოდა და იბრალებდა; სასოწარკვეთილს ნუგეშს სცემდა – „ნუ გეშინია, შვილო „ნუ გეშინია...“ – ამშვიდებდა ღვთის სახელით და გულში იკრავდა.

ბერი ხშირად ამბობდა: „მოყვასზე ოდნავ მაღლა რომ დააყენო საკუთარი თავი, ამოდენაზე – და ნეკის წვერს ახევენება – უფალი შენს ღოცვას არ შეიწირავს, რამეთუ უფალს არ უყვარს მაღალი გულითა“.

ღირსი მამა პირუთვნელად, ტკბილმწარედ ამხელდა ადამიანს. ისევ და ისევ მოყვასის ხსნისა და გადარჩენისთვის. მამა გაბრიელის ერთი შეხედვით უბრალო, მარტივ საუბარში თუ „უცნაურ ქესტიკულაციებში“ შინაგანი ღირსება და ღვთიური ძალმოსილება იგრძნობოდა; მის მიმართ მოკრძალებას ვერ დაკარგავდი. ზოგჯერ ეკლესიაში, ყოველდღივად ღვთისმშობლის ხატის წინ, დაიხოქებდა და „ღირს არსს“ გვაგალობებდა, თვითონაც ხმამაღლა აგვევებოდა, ხელგაშლილი და დახოქილი. ყველანი დიდ სიხარულს ვგრძნობდით. გარეთ გამოსვლისას „ღვინოვ კახუროს“ წამოიწყებდა, ან როკვას იწყებდა, შეურაცხყოფელ სიტყვებს მთელი ხმით გაჰყვიროდა; ამით მის „თაყვანისმცემლებს“ „ანგელოზებს“ უფროსობდა და საგონებელში აგდებდა. როგორც ჭეშმარიტად ღვთის კაცი, ცდილობდა ჩვენთვის ღმერთის შეცნობას და უფლისადმი სიყვარულის გაღვივებას და არა – საკუთარი თავისადმი.

მამა გაბრიელი, დამდაბლების მიზნით, ზოგჯერ თავზე რკინის რგოლს „ღიადემის“ სახედ იკეთებდა – „როცა ხალხი მხედავს და დამცინის, მაშინ ვმდაბლდები და ვხედები რა ცოდვილიცა ვარო“. ამ დროს კურთხევის ასაღებად მისულს ეტყოდა: „– ერეკლე მეფე... სოლომონ ბრძენი... მისდება?“ ბერი მართლაც, სოლომონ ბრძენს და მეფე ერეკლეს ემსგავსებოდა. იგრძნობოდა მასში მეფური ღირსება. გარეგნულად თვალები უბრწყინავდა და ანათებდა.

ერთხელ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, სამთავროში მორიგი სტუმრობისას, კოშკის წინ რვალის „ღიადემით“ მოსიარულე ბერს შეხვდა. მათ სიყვარულით და ამბორისყოფით მოიკითხეს ერთმანეთი. უწმიდესმა მოულოდნელად ჰკითხა:

„– მამა გაბრიელ, ეს ღიადემა ოქროსია?“

„– რას ამბობთ, თქვენო უწმიდესობავ, ეს რომ ოქროსი იყოს, თავს ხომ მამაჭრიდნენ?“ ორივე ბავშვურად იღიმებოდა.

ბევრჯერ უნახავთ ბერი სენაკში თვალცრემლიანი. ერთხელ, სენაკში საუბრისას, ფეხზე წამოდგა, ხატებისკენ შებრუნდა, ჯვრის სახით ხელები გაშალა და იღუმენი ხმით ჩაიხურჩულა:

„– ის აქ არის! – ის აქ არის!“

ხმაგაკმენდილი ერთ ადგილზე გავირინდე. ქვეცნობიერად ვგრძნობდი, რომ უფალს გულისხმობდა. მერე შიშით და კრძალებით დავტოვე ბერის სამყოფელი. კოშკიდან კი ბერის ღაღადება და გოდება ისმოდა.

ბერმა ადრე დიდმოწამე ქეთევან დედოფლის ძველი ხატი მაჩუქა. მე დიდად არ მივიღე ეს საჩუქარი. ვერ ვამსგავსებდი



სამთავრო.

სხედან: უწმიდესი და უნეტარესი ილია II, მარცხნივ – მამა გაბრიელი (ურგებაძე), მარჯვნივ – უწმიდესის ნათლია, ილუმენია ზოილე (დვალიშვილი), უხუცესი მონოზონი ეფემია (ხიზანიშვილი), დგანან: ილუმენია ანა (აჭაიძე), დიდსკემოსანი ჯვროსანი სუსანა (ურუტაძე), წმიდა ოლღას მონასტრის მონოზონი ლუბა, მერი შიოლაშვილი (შემდგომ მონოზონი ანა), მის უკან ვიქტორ შიოლაშვილი.

დიდმოწამეს. სამლოცველოში ხატებთან დაგვიდევ. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით აღრე, დედა პარასკევასთვის უკითხავს: „აბა გამიგე, ქეთევანს ჩემი ნაჩუქარი ხატი თუ უკიდია სენაკშიო?“, მე მაშინვე გავიხსენე ხატი, ჩამოვხსენი და ჩემთან, სალოცავ კუთხეში, დაგვიდევ. მას შემდეგ აღარ ჩამომიხსენია.

ძალიან ხშირად მამა გაბრიელი ხოჩით ხილს, თაფლს, საკუთარი ხელით მოხალულ თხილს მომიკითხავდა ხოლმე, დედა პარასკევას მეშვეობით: „– მამა გაბრიელმა გამოგიგზავნა – ჩქარა, ჩქარა წაუღე და მიართვი ილუმენიასო“.

როგორც წმიდანებს ჩვევიათ, მამა გაბრიელი პირისპირ ამხელდა ადამიანებს, ზურგს უკან არავის განიკითხავდა, არც არავის აძლევდა უფლებას ვინმეზე ძვირის თქმისა. ბერი ძალიან უფრთხილდებოდა მონასტრის სახელს და ღირსებას.

იყო ერთი შემთხვევა: მწუხრისას ტაძარში უნდა ჩავსულიყავი. კიბის გვერდით მამა გაბრიელს სუფრა გაეშალა. აქეთიქიდან ახალგაზრდა ვაჟები შემოსხდომოდნენ. ბერმა ირონიული ტონით რაღაც

მომამახა და შეურაცხყოფელი სიტყვებიც მოაყოლა. მინდოდა იქაურობას მაღე გავცლოდი, მაგრამ უნებურად ნაბიჯი წინ ვეღარ წავდგი, გაუნძრევლად ვიდექი და ასე ვისმენდი შეურაცხყოფას. მამა გაბრიელის „განწყობა“ ახალგაზრდებსაც გადვადლოთ და ახლა მათ დაიწყეს ირონიული რეპლიკები. ბერი ამას კი აღარ მოელოდა, სახე აეშალა, აბობოქრდა: „თქვენ როგორ ბედავთ ილუმენიაზე სიტყვის თქმასო?!“ – დაუყვირა, განრისხებულმა მაგიდა გადააყირავა... და თავზარდაცემული ახალგაზრდები კისრისტეხით დაეშვნენ კიბეზე. უკან მოუხედავად გაიქცნენ. ერთი მათგანი დღემდე იგონებს ამ ამბავს.

სულიერ ბრძოლაში გამოუცდელს, წინამძღვრობის პირველ წლებში ახალ-ახალი განსაცდელები მატყდებოდა თავს, ზოგჯერ სასოწარკვეთილებაში მაგდებდა. ამის გამო ხშირად მიხდებოდა მამა გაბრიელის სენაკში სტუმრობა. სულიერი შეჭირვების უამს ბერი ყოველთვის მანუგეშებდა. ვერც წინამძღვრის ჯვარს ვაცნობიერებდი სრულყოფილად; აღარ ვიცოდი ამა თუ იმ შემთხვევაში და საერთოდაც,

როგორ მოვქცეულიყავი. ამ მდგომარეობაში მყოფი, ბერისაგან დაბეჯითებით მოვითხოვდი დაედასტურებინა, რომ იღუმენია არ ვიყავი. ვფიქრობდი, მისი თანხმობა ამ უმძიმესი მდგომარეობიდან გამათავისუფლებდა. ბერი ერთხანს მისმენდა, შემდეგ დაფიქრებულმა მითხრა:

„– კი მაგრამ, დედაო და დაო, კურთხევის დროს რომ გადმოვიდა სულიწმიდის მადლი, ის მადლი ხომ შენშია და მოქმედებს. იმ მადლს რას უშვრები? რაც უნდა იძახო,



სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ქეთევანი, მონოზონი ნინო, მონოზონი პარასკევა წმიდა მამა გაბრიელის საფლავზე

„იღუმენია არ ვარო“, ხარ იღუმენია!“

ამ სიტყვებმა დიდად მანუგეშა და კვლავ მაგრძნობინა პასუხისმგებლობა. ისევ, როგორც ჯვრის გადმოცემისას მისმა უწმიდესობამ მითხრა: „წმიდა ნინო შეგაძლებინებს ჯვრის ტვირთვასო“.

ერთხელ ძველ საპატრიარქოში, პირველ სართულზე, უწმიდესის სამეუფო შემოსავლელი კარიდან, ხმაურით შემოიჭრა მამა გაბრიელი. დერეფანში მეუფე თადეოზი ბრძანდებოდა. მამა გაბრიელმა ხმამაღალი შეძახილით მიულოცა ქრისტეშობა:

„– ქრისტე იშვა!“

მეუფემ მორიდებით მისცა შენიშვნა:

„– მამა გაბრიელ, ცოტა ჩუმად, ზემოთ

პატრიარქია და უხერხულიაო“.

„– რა იყო, ბრეჟნევი კი არ დაბადებულა, ქრისტე იშვა!“ – კიდევ უფრო ხმამაღლა დაიძახა მამა გაბრიელმა და როგორც შემოიჭრა, ისევე ქარიშხალივით შეტრიალდა და უკანმოუხედავად გავარდა კარიდან. მომხდართი უაღრესად დამწუხრებული მეუფე თადეოზი უკან დაედევნა და ამაოდ ეცადა ბერის მობრუნებას.

მამა გაბრიელი საოცარი მქადაგებელი იყო. წირვის დღეებში, როცა ამბიონიდან ქადაგებდა, ყველა სულგანაბული უსმენდა. ისე საოცრად აღწერდა წმიდანის ცხოვრებას, ისე ცოცხლად და დამაჯერებლად, თითქოს იმ ეპოქაში ცხოვრობდა. მახსოვს, როგორი შთამბეჭდავი იყო ქადაგება წმიდა მარიამ მეგვიპტელზე...

„უფალმა მეძავი შეიწყალა, ავაზაკი აცხოვნა... მარიამ მეგვიპტელი მეძავი იყო – რა ვუყოთ მერე, ღვთის მადლით, უდაბნოში მოღვაწეობით, მარხვითა და ღოცვით სძლია ვნებებს, განიწმიდა და სასუფეველის ღირსი შეიქმნა. უფალი დაამდაბლებს და უფალი ადამაბლებს.“

ბერი სიმდაბლით გამოსცდიდა ადამიანებს, ზოგს დააჩოქებდა, ზოგს ამხელდა,

ზოგსაც ღვთიური სიბრძნით დამოძღვრიდა.

ერთხელ მონასტერში, ტრაპეზის შემდეგ, მამა გაბრიელმა კარი ჩაკეტა და დედები გარეთ არ გაუშვა. მაშინ სამონოზონე ვიყავი. ჭურჭელი მომატანინა და ყველას ხელები დააბანინეო მითხრა. ბერის კურთხევა უმაღლეს ადვასრულე. ხელების ნაბანი წყლით სავსე თასი უკან მივუტანე. ბერმა გამომცდელად შემომხედა და თქვა: „ეს თასი ბოლომდე დაცალე!“ „სულ?“ – გავიკვირვე. „დო ღნა!“ – იყო პასუხი. დაფიქრების დრო აღარ მქონდა. მამა გაბრიელის სიტყვა შეუვალი მეჩვენა, უმაღლეს შევსვი, ბერმა სიყვარულით დამლოცა.

მახსოვს, მამა გაბრიელს შეეჩივლე: აღარ შემიძლია, ჯვარი უნდა მოვიხსნამეთქი. ბერი შეყოვნდა, ჩვეულებისამებრ ხატებისაკენ მიბრუნდა, ხელაპყრობილმა ილოცა და შემდეგ დასძინა: „მოთმინება იქონიე, დაო და დედაო! შენით ნუ მოიხსნი ჯვარს. ვინც მოგხსნის, პასუხს ის აგებს. განა პატრიარქს არ უჭირს? შენ არ იცი „ქათალიკოსის“ ჯვარი რა მძიმეა, იგი ხომ ორ ჯვარს ატარებს – ერისას და ეკლესიისას, იმან რაღა ჰქნას?“. ამ ამბავთან დაკავშირებით, მონოზონი პელაგია ქსოვრელი იხსენებს: „მონასტერში განხეთქილება იყო. წინამძღვრის უმძიმესი ჯვარი ზოგს მსუბუქი ეგონა. ეშმაკმა აღუძრათ სურვილი პირველობისა და დაეწყოთ ბრძოლები დედებს. მათი ურჩობით გაბეზრებულმა დედა ქეთევანმა მოიხსნა ჯვარი და თქვა: ვისაც უნდა იმან ჩამოიკიდოს გულზე და როგორც უნდა, ისე წარმართოს საქმეო. დაეყუდა სენაკში და ტრაპეზოზე კი აღარ ჩამოვიდა. ამ დროს სატრაპეზოში მამა გაბრიელი შემოვიდა, მიიხედ-მოიხედა და განრისხებულმა დაიყვირა: „სად არის იღუმენია?! ვის გაუგია მონასტერში ტრაპეზი იღუმენიის კურთხევის გარეშე?!“ მან კურთხევა გასცა სასწრაფოდ მოეყვანათ დედა ქეთევანი. იგი უარზე იყო, აღარ უნდოდა სენაკიდან გამოსვლა. დიდი ხვეწნით გამოიყვანეს, გულზე ჯვარი არ ეკიდა. მამა გაბრიელმა თვალი მოავლო იქ მყოფთ და (იმ დროს მოძღვარიც იქ იმყოფებოდა), ჯვარი მოატანინა, თავისი ხელით დაჰკიდა გულზე და უთხრა: „პირველად ქრისტემ დაგკიდა ეს ჯვარი, პატრიარქის ხელით, მეორედ – მე, იცოდე კარგად დაიმახსოვრე“.

მონასტრული სირთულეების დასაძლევად, რჩევისათვის მამა გაბრიელს მივმართე: – რა ვქნა, როგორ მოვიქცე? ზოგს შენიშვნას რომ ვაძლევ, არ ღებულობს, იქნებ სჯობს არაფერი არ ვუთხრა? არ მივაქციო ყურადღება, რაც უნდა ის აკეთონ. ღმერთი ხომ ყველაფერს ხედავს. ბერი ერთხანს დაფიქრდა, მერე მკაცრად მითხრა: „მერე შენ ხომ იღუმენია ხარ?! მაპატიე დედაო და დაო, არქიმანდრიტის ჯვარი გკიდა და ღმერთი იმისთვის დაგსჯის, შენიშვნას რომ არ მისცემ. მხილება აუცილებელია, განკითხვა სხვა რამ არის, როგორ შეიძლება ცუდ საქციელზე თვალი დახუჭო, შენ უნდა მიუთითო – მათ შეასრულონ! თუ არ

შეასრულებენ, უფალი მათ მოკითხავთ“.

მამა გაბრიელს გამორჩეულად უყვარდა სამთავროს ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი. „ცისა და ქვეყნის დედოფალს“ უწოდებდა ყოვლადწმიდა მარიამს და ქებით განადიდებდა. ხატის წინ ხელებს აღაპყრობდა და „ღირს არსს“ ხმამაღლა უგალობდა.

მამა გაბრიელი მთელი თავისი ცხოვრებით, საქმით აღასრულებდა ქრისტეს მცნებებს, ხშირად იტყოდა: „მე სიყვარულის გარდა არაფერი გამაჩნია. თქვენს სიყვარულს ღმერთის სამსხვერპლოზე ავიტანო“.

მამა გაბრიელი ჩვენი მონასტრის ბურჯი და იმედი იყო. იგი მფარველ ანგელოზად დასტრიალებდა ჩვენს სავანეს. მახსოვს როგორ გადაარჩინა მამა გაბრიელმა მონასტერი დაწვას. იმ საღამოს ყველანი ტაძარში ვიყავით ღოცვაზე. აუცილებელი საჭიროების გამო (რაც იშვიათად მომხდარა), ღოცვიდან გამოვედი და ზემოთ სენაკისაკენ წამოვედი. დავინახე მამა გაბრიელი აბაზანიდან ვედრებით წყალს მიარბენინებდა. თურმე ძველი ბუხრის მხარეს, ერთ-ერთ ოთახს, რომელსაც სასტუმროს საკუჭნაოდ ვიყენებდით, ცეცხლი გასჩენოდა. თეთრეული, საბნები და ლეიბები სულ დამწვარიყო. ტახტიც ნახევრად დამწვარიყო, ცოტაც და ცეცხლი დენის სადენებს გაჰყვებოდა და დიდი ხანძარი გარდაუვალი იქნებოდა, მონასტერი დაიფერფლებოდა (დაუდევრობის გამო ადრე მონასტერი გადამწვარა. ექვსი თვე უსართულოდ ყოფილან. თავზე გვათოვდა და გვაწვიმდაო, იხსენებდნენ ძველი დედები). იმ დღესაც დაუდევრობა იყო ხანძრის გაჩენის მიზეზი; მონასტრის ერთ-ერთ მორჩილის დედას, იმ ოთახში ანთებული სანთლები დარჩენოდა.

საკვირველი იყო, როგორ გაიგო მამა გაბრიელმა ხანძრის გაჩენა, იგი მუდამ კოშკში იყო და იქაურობას არ სცილდებოდა. უეჭველია, მას გულისხმა მიეცა მოსალოდნელი განსაცდელის შესახებ.

საქართველოს სახალხო არტისტი, ქალბატონი ზინაიდა კვერენხილაძე იგონებს: „გარდაბანში ღვთისმშობლის ტაძრის გახსნის დღეს, ანსამბლ „რუსთავის“ გალობის ფონზე წმიდა ნინოს საგალობელს

კვითხულობდი. თურმე მამა გაბრიელი იქ ბრძანდებოდა. ტექსტი ბოლომდე ჩავიკითხე თუ არა, ბერმა შემაურჟოლებელი ხმით დაიქუხა: „დაიხოქე“. მოულოდნელობისაგან გავეოგნდი, მივხვდი რომ კურთხევა მე მეხებოდა, მაგრამ ისე გავხევდი, ვერ დავიხოქე. მას მივჩერებოდი. საოცარი გამომეტყველება ჰქონდა, სახე განათებოდა, თვალები უბრწყინავდა, ამქვეყნიურს არ ჰგავდა, რაღაც არაბუნებრივად გადიდდა, ამაღლდა, მისი თავი ღრუბლებს წვდებოდა, ყველას ზემოდან დაგვეურებდა, ხელში კვერთხი ეჭირა.

გვერდით მყოფმა გოგი გეგეჭკორმა მირჩია, კურთხევა დაუყოვნებლივ შემესრულებინა, ანზორ ერქომაიშვილმა მანიშნა – დაიხოქეო. მისთვის თვალი არ მომიშორებია, ჩემდა უნებურად ისე დავეშვი მუხლებზე, ასე მეგონა, მე კი არ დავიხოქე, რაღაც ძალამ მაიძულა, ჩამემუხლა.

შესრულდა თუ არა მისი კურთხევა, ბერი თითქოსდა ზეციდან ძირს დაეშვა, და-

ლაგდა და ჩვეულებრივი სიმაღლე მიიღო. ნამდვილად იგრძნობოდა, რომ ჩვენგან განსხვავებით, ბერი გაბრიელი სხვა განზომილებაში იმყოფებოდა. ძალა, რომელმაც დამაჩოქა, ვიგრძენი, ნამდვილად ბერი გაბრიელისაგან მოდიოდა“.

იმ წელიწადს, ვიდრე გარდაიცვლებოდა, ხშირად, გვერდზე ჩავლისას, ბერი მოულოდნელად იტყოდა: „– მივდივარ... მივდივარ... საქართველოს ბოლო ბერი ვარ, ბოლო ბუკეტი ვარ... მივდივარ!...“ იგი ხშირად მეტყოდა ხოლმე ღიღინით: „ქეთევან, ქეთევან, შენ ვერ გაიგე ჩემი სიყვარული“, და მართლაც, მამა გაბრიელის უკიდუგანო სიყვარულს ღვთისა და მოყვასის მიმართ, იშვიათად თუ ვინმე გაიგებდა. იგი იმდენად ფარავდა თავის სათნოებებს, რომ ყოველთვის გაორებული ფიქრი გაწუხებდა – ამოუხსნელი, ვერ ხვდებოდი, ბრძენი იყო თუ სულელი. ჭეშმარიტად ამოუცნობი, ჭეშმარიტი სალოსი ბერი გახლდათ.

მონოზონი პარასკევა

წინათ მამები მონასტერში ახალმოსულს ხენგმ სიტყვას ეტყოდნენ, გააბრაზებდნენ. თუ ახალმოსული დაითმენდა და პასუხს არ შეუბრუნებდა, „მონასტრულიაო“, – იტყოდნენ და დატოვებდნენ; თუ შეეპასუხებოდა ან გაბრაზდებოდა, უკან, ერში გზავნიდნენ „– ერშია შენი ადგილიო.“ „– მოთმინება ყველაზე მთავარია მონასტერშიო“ – ხშირად იტყოდა ღირსი გაბრიელ ბერი, რომელსაც თავის ხელით აშენებული ეკლესიის შესასვლელშიც ღიღი ასოებით ეწერა – „მოთმინება“.

„– მე დედაჩემს არ ვუთმობდი, სადაც საჭირო იყო და შენ რატომ უნდა დაგიტომო?!“ – მეტყოდა ხოლმე მოძღვარი და კელიიდან დამითხოვდა. მხოლოდ მაშინ მახსენდებოდა, რომ თავად ვისურვე და დავთანხმდი სწავლებაზე და უმაღვე უკან ვბრუნდებოდი, შენდობისათვის. უკან დაბრუნებულს, ყოველთვის ღიღი სიყვარულით მღებულობდა; ხანაც განგებ გამაბრაზებდა, ჩემი ხასიათის უარყოფითი თვისებები რომ წარმოეჩინა და გამოეს-

წორებინა. ეს ყველაფერი ჩემდაუნებურად ხდებოდა. მაჩვევდა სიმტკიცეს, მორჩილებას, განსაცდელების მოთმინებით გადატანას. წინასწარ მეტყოდა ხოლმე: – დღეს წაგეჩხუბებიან, აბა თუ გაუძლებო. და იმ დღეს რაიმეზე ჩხუბი მართლაც იწყებოდა – მცდიდა როგორ გავეუძლებდი ყვედრებას, ცილისწამებას, ლანძღვას და თან გამომცდელად მიყურებდა. ყოველთვის ვერ ვუძლებდი მის გამოცდას და ამას გრძნობდა. მაშინ დამიყვავებდა, დაჯდებოდა და ტიროდა: „– მე მინდა მალე გაიზარდო შვილო. როცა გამიხსენებ, ისიც გაიხსენე, რომ გაბრაზებდიო.“ შემდეგ სევდიანად იტყოდა: „– რაც უფრო გიბრაზდებით, უფრო ძალიან მიყვარხართო.“

ყოველი მისი ქმედება იყო სწავლება, რომელიც მის გარშემომყოფთა სულის საცხოვნებლად იყო განსაზღვრული: „– ყოველი სწავლება ღვთისაგან მოდის, ჩემგან არ გეგონოსო“. თუ ვინმეს მკაცრად მიმართავდა ან ხმამაღლა რაიმეს ეტყოდა, შემდეგ ამისთვის მწარედ ტიროდა.

მონასტერში მოსული ხალხის სიმრავლე ძალიან მდლიდა. ერთხელ შემატყო და მითხრა: „– შენ მხოლოდ ხშირად გადაიწერე პირჯვარი, აქ ბევრი ავადმყოფი მოდის, სხვა არაფერი გეხებაო.“ და მეც ვიჯექი და მამა გაბრიელს ვუსმენდი, თან ხალხს ვაკვირდებოდი. მომსვლელს არასოდეს შეეკითხებოდა, რა გაწუხებდა, რადგან მან ყველაფერი წინასწარ იცოდა.

ღირსი მამა ღვთისაგან დაჯილდოებული იყო არა მარტო სასწაულომოქმედების, არამედ წინასწარცნობისა და წინასწარმეტყველების ნიჭითაც. იგი მასთან მიმსვლელის ყოველ დაფარულ საქმესა და განზრახვას ცნობდა. მისი ნათქვამი სიტყვა არ გაცუდებოდა; ვისაც დალოცავდა, საქმე მუდამ კეთილად წარემართებოდა. სენაკში მასთან რჩევისთვის მისული ადამიანები იკურნებოდნენ, მშვიდდებოდნენ, ღვთიური მადლით ივსებოდნენ.

გონებისა და გულის აზრებს კითხულობდა გაბრიელ ბერი და ღვთის ყოველივე საიდუმლოება გახსნილი იყო მისთვის.

ერთ დილას სრულიად უცხო ახალგაზრდა ქალი მოვიდა მამა გაბრიელთან და სთხოვა: „– თუ შეიძლება, ხატი მაჩუქეთ, მეგობრის დაბადების დღეზე მივდივარ და არაფერი მაქვსო“ გაკვირვებითა და შიშით შევხედე ამ ქალს: როგორ უბედავს ამის თქმას-მეთქი. მოძღვარს არ უყვარდა ხატების ტყუილუბრალოდ საჩუქრად გაცემა. ხატს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გააჩუქებდა. ამ ქალს კი მაშინვე ჩამოუღო ღვთისმშობლის ხატი და აჩუქა. ქალიც გაოცებული ათვალიერებდა ხატს. ამ დროს ღირსმა გაბრიელმა ჯვარი ჩამოიღო და აჩუქა. ქალი მუხლებზე დაემხო და წმიდა მამას მიმართა: „ნუთუ თქვენ გონებისა და გულის აზრებს კითხულობთ?! ამ წუთას გავიფიქრე, ნეტავი ეს ჯვარი მაჩუქოსო და მაშინვე შემისრულეთ.“

* * *

გაბრიელ ბერთან სენაკში ყოფნისას, ხშირად გულში ვამბობდი ღვთისმშობლის

ტროპარს; როგორც კი დავამთავრებდი, იგი ამინს იტყოდა. თავდაპირველად ვერ მივხვდი – დამთხვევა მეგონა. მეორედ და მესამედ რომ ასევე განმეორდა, მივხვდი, რომ გულისა და გონების აზრებს კითხულობდა.

ერთხელ მამა გაბრიელი მიხმობდა, ვიფიქრე ალბათ რაღაც დავაშავე-მეთქი და გულში 90-ე ფსალმუნის კითხვა დავიწყე. მოძღვარმა ცოტა გაკვირვებულმა შემომხედა, შემდეგ გაიღიმა, თავი გააქნია და აღარაფერი მითხრა.



ღირსი მამა გაბრიელის მორჩილი, მონოზონი პარასკევა (როსტიაშვილი)

წმიდა ბერთან მოსულმა ერთმა ახალგაზრდა ქალმაც იგივე აღნიშნა ერთხელ და თქვა: რაც კი გავიფიქრე, გაბრიელ ბერმა სწორედ მასზე დაიწყო ქადაგებაო.

ცოლ-ქმარი იჯდა მამა გაბრიელის კელიაში. ქალი ფეხმძიმედ იყო, მამა გაბრიელმა მათ მიმართა: „ბავშვს ყველფერი ესმის, ღვთის სიტყვა უთხარით და ისე აღზარდეთ შვილიო“. ქმარმა მიუგო: „რას ამბობ, მამა გაბრიელ, სენაკის იქეთ რას ამბობენ, მე ის არ მესმის და ბავშვი მუცელში როგორ გაიგებსო?“


– მაშ არ გჯერათ? – შეტრიალდა მამა გაბრიელი ქალისკენ და მუცლადღებულს მიმართა:

– ერმაო, შენ გეუბნები, არ გესმის ღვ-

თის სიტყვა? – ბავშვმა ისეთი სისწრაფით დაიწყო მოძრაობა მუცელში, ქალმა ვეღარ მოითმინა და მამა გაბრიელს უთხრა: მუცელში ბავშვი არ მასვენებს, გეხვეწები, ცოტა ხნით გარეთ გავალო.

* * *

ერთ დღეს გაბრიელ ბერთან ათონის მთიდან ბერძენი სტუმრები მოვიდნენ. ერთი მათგანი იყო ქსეროპოტამის მონასტრის წინამძღვარი, მეორე – ერის ადამიანი, ათონის მთაზე მსახური, ღვთისმეტყველი სტილიანოსი. მათ მამა გაბრიელს სახარებისეულ სწავლებაზე დაუსვეს შეკითხვები და პასუხები ძალიან მოეწონათ: „– ეს უბრალო ბერი არ არისო“. შემდეგ



საჩუქრები მიართვეს მამა გაბრიელს. მათ შორის წმიდა სტილიანოსის ხატი იყო. მამა გაბრიელმა ხატი უკან დაუბრუნა – შენი იყოსო. სტუმრები მიხვდნენ, რომ გაბრიელ ბერმა მათი სახელები იცოდა. ბერს დაუჩოქეს და სთხოვეს: „ჩვენთან წამოდი, ათონზე, ასეთ დიდ მამას აქ რა გინდაო?“ მამა გაბრიელმა მიუგო: „– ჩემს საქართველოს ათონზე ვერ გავცვლი. მე ჩემს ათონში ვარო“.

* * *

განსაკუთრებით მფარველობდა მამა გაბრიელი ბერ-მონოზენებს. უხაროდა მათი დანახვა და მათთან საუბარი. სულიერებას ყველაზე წინ აყენებდა. მონასტრის წინამძღვარი და წევრები, რომელნიც კმაყ-

ოფილდებოდნენ იმ მცირედით, რასაც ღმერთი მისცემდა და რომელიც პირად პატივს კი არა, ღმერთის ღიებებს ეძიებდა, ღვაწლითა და დიდი სულიერებით, მისი თქმით, წინ იდგა ღვთის წინაშე იმ ეპისკოპოსებზე და სამღვდელოებაზე, რომელნიც მრევლის შემოწირულობებით და პატივით ცხოვრობენ. ამბობდა: „– მონასტერი არის დიდი სიყვარული, ნეტარია ის, ვინც არად შერაცხს ამქვეყნიურ საგანძურებს, ვინც მოიპოვებს ქრისტესთან ყოფნას.“

გაბრიელ ბერს არ მოსწონდა, მონოზონი სხვა მონასტერში რომ გადაჰყავდათ, ძალიან განიცდიდა ამას და მეტად სწუხდა მათთვის: „– აქ რაც ისწავლა, იმასაც დაჰკარგავს და იქაც ვერაფერს შეიძენს. წინათ წმიდა მამები სენაკს არ გამოიცვლიდნენო“.

მონოზონთა აღკვეცისას მუდამ ჩამოდიოდა ტაძარში და ტირილით ავედრებდა უფალს საკურთხეველთან წარდგომილებს; მანამ კი მათ მიმართავდა და ეტყოდა: „– ჯერ ახალგაზრდა ხარ შეილო, ვაითუ ვერ გაუძლო. მონოზენობა ანგელოზის ხარისხია, ცეცხლში უნდა გაიარო“. შემდეგ ჩაიხუტებდა, დალოცავდა და გაამხნევებდა მათ: „– გინდა მონოზენობა? როგორი და შეგვიძენია! უფალთან მიახლების ხომ არ გეშინია? ღოცვებში არ დამივიწყოო“.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალმოსულებს. ჯერ გამოსცდიდა მათ და შემდეგ დალოცავდა: „– გოლგოთამდე მიგეტანოს შენი ჯვარიო“.

* * *

ქართული კუნკულ-ბარტყული რომ არ ეხურათ, გაბრიელ ბერს არ მოსწონდა. შიო მღვიმელის ხატზე მიუთითებდა და ეტყოდა: – წინათ ქართველი ბერები ასე იმოსებოდნენ.

თავად, ქადაგებისას, მანტიითა და კუნკულ-ბარტყულით შეიმოსებოდა ხოლმე, ამბობდა:

– ბერ-მონოზონი ქადაგების დროს ისე უნდა იმოსებოდეს, როგორც ეკურთხაო. ქადაგებამდე პირჯვარს გამოისახავდა.

ქადაგებდა მართლმადიდებელი სარწმუნოების ჭეშმარიტებაზე:

– ღმერთი ერთია, მაგრამ სამპიროვანი – მამა, ძე და სულიწმიდა, რომელიც ნათლისღების დროს გაცხადდა.

თავად სიტყვა მართლმადიდებელი მიგვანიშნებს, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოება მხოლოდ ეს არის და იერუსალიმში, მაცხოვრის საფლავზე, ცეცხლის გარდამოსვლაც ამას ადასტურებსო...“

მართლმადიდებლები ერთ ნაწილში ვზივართ და აბოპოქრიფულ ზღვის ტალღებზე მივცურავთ, ვაი, კათოლიკეებს, ბაპტისტებს და სექტანტებს. – შემდეგ ხელებს სასოებით აღმართავდა და სალოსობას დაიწყო:

– რა ვქნა, მოყვასნო, უფალმა გემის კაპიტნად მე დამნიშნაო.

ერთხელ, საუბრისას, ვკითხე,

– ზედაშესა და სეფისკვერს რა ძალა აქვს?

– ზედაშე და სეფისკვერი ნახევრად ზიარებას უდრის და ძალიან გვეხმარება, ხოლო თუ შენ არ გინდა, ვერ გიშველისო – მიპასუხა.

– რა ვქნა, მამა გაბრიელ, მცნებებს ვერ ვასრულებ-მეთქი – ვუთხარი.

– ნუთუ ასე ძნელია სახარების მცნების შესრულება? – ერთ სახეში გაგარტყამენ, მეორე მიუშვირე. მერე დასძინა:

– ასჯერ მრუში სჯობია იყო, ვიდრე სარწმუნოებას გადაუხვიოო. ყოველი ცოდვა მტრობაა უფლისა, ვის ემტერები, იცი რას გიზამსო?! – მისთვის ჩვეული, ბერული ძალმოსილებით მითხრა.

– მამა გაბრიელ, თქვენ გეშინიათ ღმერთის? – ვკითხე ერთხელ.

– იყო დრო, რომ მეშინოდა, ახლა რატომ უნდა მეშინოდეს? მიყვარს.

– სამსჯავროზე ღვთის სიყვარული უფრო მეტია თუ სამართალი?

– ღმერთი მოწყალე და სამართლიანია, მაგრამ დაუსაბამო სიკეთე, დაუსაბამო სიმართლე და სიყვარულია. ვისაც სიმართლე და სიკეთე უყვარს, იმას ღმერთი უყვარს და ღმერთიც, ვით საკუთარ შვილს, ისე შეიყვარებს მას. უფალი ჩვენ, უძლურებს და

სუსტებს, სუსტად მოგვკითხავს, ძლიერებს კი – ძლიერადო.

თუ ვინმე რამეს ჰკითხავდა, ჯერ „მამაო ჩვენო“ ლოცვას ათქმევინებდა – „მამაო ჩვენოზე“ დიდი ლოცვა არ არსებობსო. შემდეგ ნებას დართავდა, კითხვა დაესვათ. ერთხელ სარწმუნოებაზე ახლადმოქცეული ერის ადამიანი სულიერ ცხოვრებაზე ეკითხებოდა. – რისთვის მეკითხებით? – ჰკითხა მამა გაბრიელმა. ისეო – მიუგო ერისკაცმა.

– რაც არ მოგეთხოვება და იმას მეკითხებით, რომ გიპასუხო, პასუხისმგებელი ხარ, ცოდნაში გეთვლება და თუ არ შეასრულე, დაისჯებით.

ერში მცხოვრებ ადამიანს ათი მცნების დაცვა მოეთხოვება და იმით ცხონდება, ხოლო მონასტერში მოსულს, სახარების მიხედვით ცხოვრება მოეთხოვება და იმით ცხონდებაო.

– რა ვქნა მამა გაბრიელ, ვერ ვტირივარ ცოდვებზეო – უთხრა ერთმა.

– ზოგი იმას ტირის, სინანული რომ არა აქვსო.

– პატრიარქი უფრო დიდია თუ მეფეო.

– პატრიარქი სცხებს და აკურთხებს მეფედ. რომელი უფრო დიდია, შენ თვითონ მითხარიო.

– ჭიანჭველას მოკვლა თუ შეიძლებაო.

– რას ამბობ, ჩემი გაჩენილია, რომ მოკვლაო?!

– ვაი, ვისაც მწერი არ ეცოდებაო. ავიღოთ, მაგალითად, სპილო და ჭიანჭველა, რაც სპილოს ტვინი აქვს, იგივე აქვს ჭიანჭველას. ახლა ავიღოთ ჭიანჭველას ტვინი და ჩავდოთ სპილოს თავში, მერე მოვკლათ, რამხელა ცხოველი მოგვიკლავსო.

ზოგს კი უკვირს, მესვეტე მამები დიდი ხნით რომ იყვნენ სვეტზე. ეს რა სასწაულია. უფალმა მისცა მათ ამის ძალა. აი, ერთი ეპისკოპოსი კიბეზე ასვლისას, ჭიანჭველაზე ფეხი რომ არ დაეხიჯებინა, ფეხი მოიტეხა. ეპისკოპოსმა თუ ეს გააკეთა, ჩვენ მით უფრო არ გვმართებს შეწყალება? აქ მთავარია სულის სიფაქიზე.

ARQIMANDRITI LAZARE (GAGNIZE)

SAKVIRAO QADAGEBA

„აღსდგე და წარვედ! სარწმუნოებამან შენ-
მან გაცხოვნა შენ!“ (ლკ. 17,19). მაცხოვარის
ჩვენის, უფალ იესო ქრისტეს ეს სიტყვები
მოვისმინეთ დღეს წაკითხული ღუკას სახ-
არებიდან, რომელიც საგულისხმო და ამა-
ვდროულად, დამაფიქრებელია; რადგან მასში,
გამოვლინდა იესო ქრისტეს მესიანური მისია.
ამ სიტყვების მოსმენა სასურველი იქნებოდა
ნებისმიერი ჩვენგანისათვის, რამეთუ ჩვენი
შეგნებული ცხოვრება იმაზე გვაქვს ორიენ-
ტირებული, რომ უფლისაგან მივიღოთ ცხ-
ონება. სახარების სიტყვები მიმართული იყო
ცოდვილი კაცისადმი, რომელიც მიუხედავად
თავისი ცოდვებისა, როგორც მაცხოვარის სი-
ტყვები მოწმობენ, სიცოცხლეშივე ცხონდა. ამ
კაცის მიმართ წამისყოფით აღსრულდა სანუკ-
ვარი ოცნება, ოცნება – მარადიულ სამყარო-
ში ცხონების შესახებ, რაც ყოველი ჩვენგანის
ამკვეყნიური ცხოვრების მიზანი და ზრუნვის
საგანი გახლავთ. როგორც წაკითხული სახ-
არებიდან ვგებულობთ, ადამიანის ამ მიზანს,

რომ უფალმა გვითხრას: „აღსდგე და წარვედ,
სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ!“ ჩვენ
დიდი ძალისხმევა გვჭირდება, რომ მივაღწიოთ
ამგვარ რწმენას. გზა ამგვარი რწმენისაკენ,
ჩვენ ყოველთვის წინა გვაქვს, და გვერდზე
გაუხედავად უნდა მივსდით ამ გზას.

კაცთა მოღვმის ბოროტმა მტერმა ადამი-
ანს ცოდვებით დაუმახინჯა სული. იგი ჩასა-
ფრებულია, როგორც მტაცებელი ცხოველი და
ნადირობს ადამიანთა სულებზე. ცოდვებით
დაბინძურებული სული ათასგვარი სნეულებე-
ბის კერაა. სულიერი დაავადებანი კი იწვევენ
ხორციელ სნეულებებს, რომელთა შედეგებს
მრავლად ვხვდებით.

სახარების სწავლებით, უფლისა და მაცხო-
ვარის ჩვენის, იესო ქრისტეს წინაშე წარსდგა
ათი კეთროვანი; განუკურნებელი, გადამდები
სენით შეპყობილი, ათი ყველასაგან უარყოფი-
ლი და მიტოვებული ადამიანი, რომელთა სხ-
ეული დაფარული იყო წყლულებით, რაც მათი
აღვირახსნილი ცოდვილი ცხოვრების შედეგი
იყო. ათი კეთროვანი, იესო ქრისტე-
სთან ახლოს მისვლას ვერ ბე-
დავდა, როგორც ხორციელი, ასევე
სულით სნეულების – მათი ურ-
წმუნოების გამო. კეთროვანთა
ყურამდე უკვე მიედწია ამბავს,
ქრისტეს, როგორც სასწაულმოქ-
მედი მკურნალის შესახებ, რამაც
მათ გულში იმედის ნაპერწკალი
გააღვივა – „იესო, მოძღვარ, შემი-
წყალენ ჩვენ!“ (17,13) – მუდართი
მიმართეს მათ მაცხოვარს. იესოს
შეეცოდა მძიმე წყლულებისა-
გან გაწამებული ადამიანები და
უთხრა: „წარვედით და უჩვენენით
თავნი თქვენნი მღვდელთა“ (ლკ.
17,14). მაცხოვარმა კი ტაძრისაკ-
ენ მიმავალი სნეულები გზაშივე
განკურნა სენისაგან.

მაცხოვარმა ათივე კეთრო-
ვანს დაუფასა ის მცირედი ძალისხმევა, კი,
რომ მათ მღვდელთან მისვლის და სჯულის
კანონის აღსრულების სურვილი გამოიჩინეს,
და აი, ტაძარში მისული ათივე კეთროვანი,
მაცხოვარის მოწყალებით, საბოლოოდ განი-
კურნა.

ათივე კეთროვანის განკურნების ფაქტი,
ცხადია, მაცხოვრის მიერ მოხდენილ სას-
წაულთა შორის მოიხსენიება, მაგრამ შემეც-



რაჭა.

ილუმენია ქეთევანი, არქიმანდრიტი ლაზარე

მარადისობაში ცხონებას, განსაზღვრავს ადა-
მიანის სარწმუნოებასთან დამოკიდებულება,
ადამიანის რწმენა უფლისადმი.

იშვიათად შევხვდებით ადამიანს, რომელიც
თავს გაიმტყუნებს და გეტყვით: ურწმუნო ვარ,
ღმერთი არა მწამსო. თავად ჩვენც ყოველთ-
ვის ვაღიარებთ, რომ გვწამს. მაგრამ, როგო-
რია ეს რწმენა? გადავირჩენთ ამგვარი რწმე-
ნით თავს? ვიმსახურებთ ჩვენი რწმენით იმას,

ნებითი თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვანია ის, რაც მოხდა კეთროვანთა განკურნების შემდეგ. როგორც სახარებაში ვკითხულობთ, ათი განკურნებული კეთროვანიდან მხოლოდ ერთმა მათგანმა „იხილა, რამეთუ განიკურნა საშინელი სენისაგან. განწმედის კანონის აღსრულების შემდეგ, განუტევა რა იგი მღვდელმან, დაბრუნდა იესო ქრისტესთან და ხმითა ღიღითა აღიდებდა ღმერთსა და დავარდა წინაშე ფერხთა იესოისთა და ჰმადლობდა მას“ (ლკ. 17,15-16). მხოლოდ მან ერთმა, ათთაგანმა, რომელიც იყო სამარიელი, შეიცნო იესო ქრისტეში ღმერთი. რწმენით აღიესო იესო ქრისტეს მიმართ და მასთან მიბრუნების შემდეგ, მთელი არსებით შეუდგა ქრისტეს მოძღვრებას.

აღნიშნული იგავიდან განსაკუთრებით ყურადსადებია ის გარემოება, რომ ათი კეთროვანიდან, მართალია ათივე განიკურნა, მაგრამ, ცხონება მხოლოდ ერთმა – სამარიელმა მოიხვეჭა; რადგან იგი, სხვებისაგან განსხვავებით, რწმენით შეუდგა ქრისტეს მოძღვრებას. თუ უფრო კონკრეტულნი ვიქნებით, იგი გახდა ქრისტეს ეკლესიის წევრი.

„არა ათნივე განიკურნესა? და ცხრანი იგი სადა არიან? ვერ იპოვნეს ეგოდენ, რაითამცა მოიქცეს და მისცეს ღიდებაი ღმერთსა?...“ (ლკ. 17,17) – კითხულობს იესო ქრისტე.

ცხრა განკურნებულმა კი, დაივიწყა ტკივილი და უფალი, ვინც მათ ცოდვები მიუტევა და კურნება მიჰმადლა; სწეულებმა განკურნების უმაღლეს დაივიწყეს ღმერთი და განაბნინეს ის მცირე რწმენაც, რომელიც მათ მაცხოვართან მისვლისას ჰქონდათ. ძველებურ, ცოდვილ და უწმიდურ ცხოვრების წესს დაუბრუნდნენ. მათი სული მოიცვა წყვილიაღმა, შინაგანმა სიცარიელემ და უაზრობამ.

რით განვსხვავდებით ჩვენ ამ ცხრა სწეულისაგან? – დავფიქრებულვართ ამაზე? ჩვენ დაუსრულებლად მივმართავთ ღმერთს, ვაწუხებთ ანგელოზებს, წმიდანებს; ვაწუხებთ მათ ჩვენი ყოველდღიური პრობლემებით; ვითხოვთ უფლისაგან კეთილდღეობას, წყალობას, ბედნიერებას... მაგრამ, როგორც კი მდგომარეობა გამოგვისწორდება, ვივიწყებთ წყალობას და მასაც, ვინც წყალობა გამოიღო. ყოველივე თქმულს გვიჩვენებს სამოძღვრო პრაქტიკა. მრავალი ადამიანია, რომელსაც ღვთის შეწევნით, დანერგული ოჯახი აღდგა და რამდენს სხვადასხვა შემწეობა აღმოუჩინა ეკლესიამ და სულიერი წონასწორობა აღუდგინა, შემდეგ კი უკვალოდ დაკარგულან. ამ ადამიანებს აზრადაც კი არ მოსდით, რომ უბედურება, რაც მათ სჭირთ, თავიანთი უკეთურების, ურწმუნო ცხოვრების გამო სჭირთ. ადამიანი ცხონ-

დება მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენით, ეკლესიური ცხოვრებით. ეს კარგად იცის ეშმაკმა და ამიტომაც ცდილობს, ადამიანი მოსწყვიტოს ქრისტეს ეკლესიას.

ადამიანები უფალს აწუხებენ სხვადასხვა ხასიათის მრავალი სათხოვარით, მაგრამ უფალთან ყოფნა კი არ სურთ. ზოგჯერ ღმერთი ამ ადამიანებს უსრულებს სურვილს, ისინი კი იმავე წამს ივიწყებენ გაწეულ სიკეთეს და ცხოვრებას აგრძელებენ ძველებური ცოდვილი ცხოვრების წესით. დღეს მრავალი ადამიანია, ვინც დღენიადაც სიკეთეს თესავს, ესმარება ირგვლივ მყოფ ახლობელ ადამიანებს მატერიალურად, მორალურად; მაგრამ, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, ადამიანები ივიწყებენ გაწეულ სიკეთეს, როგორც ეს წაკითხულ იგავშია მოცემული. მოწყალე ადამიანების სანუგეშოდ, რომლებიც ღრტვინავენ გაწეული, მაგრამ დაუნახავი სიკეთის გამო, უბრალოდ დავსძენ, რომ სიკეთის ქმნა, თავისთავად, ღიდი სულიერი ნეტარებაა მათთვის. ყოველმა ქრისტიანმა თავისი თავი უნდა აღზარდოს ისე, რომ სათნოებისათვის საზღაურს არ ითხოვდეს, გაწეული სიკეთისათვის საზღაურს არ უნდა ელოდებოდეს. ეს ის ღიდი საუნჯე გახლავთ, რომელიც არ ძველდება და რომელსაც ვერავინ წაგვართმევს. ჩვენ უნდა ვმადლობდეთ უფალს, რომ გვაძლევს სიკეთის ქმნის ამგვარ ნიჭს, სიკეთის ქმნის მატერიალურ საშუალებას. მაცხოვარი და მხსნელი ჩვენი იესო ქრისტე უანგაროდ, უსასყიდლოდ აღასრულებდა სიკეთეს და ჩვენც, სიკეთის ქმნაში, სიკეთის გაცემაში და სიკეთის მაღლიერებით მიღებაშიც გვმართებს დავემსგავსოთ მაცხოვარს ჩვენსას უფალ იესო ქრისტეს.

გასული წელი ქართული მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის დასტური იყო უფლის მიერ ჩვენდამი გამოვლენილი უსაზღვრო სიყვარულისა, რომელიც ჩვენდამი გაღებული ღიდ წყალობაში გამოვლინდა; ჩვენს მონასტერში მოღვაწე ღიდი სულიერი მამის, არქიმანდრიტ გაბრიელის წმიდანად კანონიზირება აღესრულა და ჩვენს მორწმუნე მრევლს უფალმა აუხდინა ოცნება. კიდევ ერთი წყალობა მოიღო ღმერთმა და ჩვენს მონასტერს შემოგვმატა და ანგელოზებრივის ძალით შეამკო მონასტრის ორი წევრი, კერძოდ, მონოზონი ნისიმე და მონოზონი იოანა.

მაღლობას ვწირავთ უფალს, წლევეანდელი წლისათვის და თქვენთან ერთად შევთხოვ ახლადკანონიზირებულ წმიდანს, აღმსარებელს და საღოსს, ღირს გაბრიელს, შემწეობა შესთხოვოს უფალს და მაცხოვარს ჩვენსას იესო ქრისტეს, ქართული ოცნების ფრთების შესხმაში.

MITROPOLITI IOBI (AQIASVILI)

SITYVA

(08.12.12)



სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის
ივერიის კარის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი.

სახელითა მამისათა და ძისათა და
წმიდისა სულისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა გაგახ-
აროთ, გაგაძლიეროთ.

დღეს გულითა და სულით
შეგწირეთ ყოვლადწმიდა
ღვთისმშობელ დედას კანდე-
ლები და შევთხოვთ, რომ მს-
გავსად ბრძენი ქალწულების
ჩაუქრობელი კანდელებისა,
ასევე ჩაუქრობელი ყოფილი-
ყოს თვითოეული ჩვენგან-
ის, დედათა მონასტრის და
ყოველი მართლმადიდებელის
გულში უფლისადმი ანთებუ-
ლი კანდელი; რათა მეორედ
მოსვლის ჟამს მზად ვყოფილი-
ყავით უფალთან შესახვედრად
და არ გვეთქვას ღვთისათვის
– „კარი გაგვიღე“; არამედ, ღია

კარში, თავისუფლად, მსგავსად ბრძენი
ქალწულებისა, რომლებიც შევიდნენ და
განადიდეს უფალი, მსგავსადვე ჩვენც გვე-
დიდებინოს უფალი, ჩვენი ცხოვრებით და
კეთილი საქმეებით.



ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი იობი და სამთავროს
მონასტრის წინამძღვარი, იღუმენია ქეთევანი.

თქვენ იცით, რომ საქართველოში ოდითგან არსებობდა საეკლესიო ნივთების ხელოვნების ოსტატობა. სვანეთში მრავლად არის დაცული ქართველ მეფეთა მიერ შეწირული საეკლესიო ჭურჭელი, ძვირფასად მოჭედილი ხატები... და ეს ტრადიცია საეკლესიო ხელოვნებისა საქართველოში უნდა გაგრძელდეს. დღეს განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ამ კანდელების შემქმნელი, ბატონი გიორგი ღუდუშაურის ოსტატობა, რომელმაც არა მარტო ეს კანდელები, არამედ მრავალი ხატი და საეკლესიო ჭურჭელი შექმნა და რომლებიც ხელოვნების ნამდვილ შედევრებს წარმოადგენენ და ქართულ ბუნებას, ქართულ ხასიათს გადმოგვცემენ. ვმადლობთ უფალს, ასეთი პიროვნებები რომ გვყავს და არსებობენ ამჟამინდელ და რომ მათი სახით, საქართველოში დღესაც გრძელდება ოპიზარტა უძველესი ოსტატობა. გულითა და სულით მინდა დავლოცო გიორგი და ვუსურვო, მრავალი ხატი გაემშვენებინოს.

ჩვენს მიერ შემოწირული კანდელები მცირედი ძღვენია დედალეთისმშობლისადმი შეწირული და რა თქმა უნდა, ღვთისმშობელი მოგვანიჭებს დიდ საჩუქარს – არა პირადად ჩვენ, შემომწირველებს, არამედ სრულიად საქართველოს; რამეთუ თითოეულმა ჩვენთაგანმა რაღაც უნდა უძღვნას ყოვლადწმიდა დედას ღვთისას.

მე არაერთგზის მითქვამს და მითხოვია მრევლისთვის, რომ „დაუჯდომელი“ წავუკითხოთ დედალეთისმშობელს ყოველდღიურად და ჩვენ ნამდვილად გადავრჩებით; ნამდვილად აღდგება იმ საზღვრებში საქართველო, რა საზღვრებითაც დედალეთისმშობელს ჩაბარდა წილისყრის შედეგად. და ჩვენ ამისი დიდი იმედი გვაქვს და ვმადლობთ უფალს, რომ დღევანდელი

დღე განსაკუთრებულია ამ მონასტრისთვის.

დღეს არის წმიდა კლიმენტი რომის პაპის ხსენება, რომელიც დიდი წმიდანია. თქვენ იცით, ანგელოზთამიერ სასწაულებრივად გამოკვეთილ მარმარილოს ტაძარში დაბრძანდა მისი სხეული და მეცხრე საუკუნემდე წელიწადში ერთხელ შეეძლო მრევლს მთხვეოდა მის წმიდა ნაწილებს. აი, ასეთი სასწაულები აღესრულებოდა წმიდანებთან დაკავშირებით და დღესაც შეიძლება აღსრულდეს. უბრალოდ, ეს ჩვენს რწმენაზეა დამოკიდებული, ჩვენს ცხოვრებაზე.



ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი, მეუფე იობი (აქიაშვილი) მონასტრის დედალეთისმშობლისადმი შეწირული და რა თქმა უნდა, ღვთისმშობელი მოგვანიჭებს დიდ საჩუქარს – არა პირადად ჩვენ, შემომწირველებს, არამედ სრულიად საქართველოს; რამეთუ თითოეულმა ჩვენთაგანმა რაღაც უნდა უძღვნას ყოვლადწმიდა დედას ღვთისას.

ღმერთმა გაგახაროთ, დღევანდელ დღეს ხსენებულ წმიდათა ღოცვა გეწოდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს. და დედალეთისმშობელმა ნაცვლად აი, ამ ძღვენისა, მოგვმადლოს დიდი სიხარული და მტკიცე სარწმუნოება.

ეს შუა კანდელი ჩვენ შევწირეთ მისი უწმიდესობის სახელზე, დანარჩენი ორი – მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას სახელზე – ჩემი და მამა სტეფანეს მცირედი ძღვენია, მცირედი საჩუქარია. გვინდა რომ ეს შეიწიროს დედალეთისმშობელმა და ნაცვლად დიდი სიხარული, დიდი სათნოება და დიდი იმედი მოგვმადლოს. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ. ამინ.

RVTISMSAXUREBIS SESAXEB

ტაძარი და მისი ფორმები

იესო ქრისტემ თქვა, სადაც ორი ან სამი შეიკრიბება ჩემი სახელით, მეც იქ ვარ მათ შორისო. ამიტომ პირველი ქრისტიანები ყოველთვის ცდილობდნენ, ერთად შეკრებილიყვნენ ღოცვისა და საღმრთო მსახურებისათვის. პირველად ამ მიზნისათვის კერძო სახლებს იყენებდნენ, ცოტა ხნის შემდეგ კი განსაკუთრებული შენობების აგებაც დაიწყეს. ასეთ შენობებს სამლოცველო სახლები, ტაძრები ან ეკლესიები უწოდეს. სიტყვა ეკლესია ბერძნულია და ნიშნავს მორწმუნეთა კრებას. ტაძარს ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ იქ იკრიბებიან მორწმუნენი.

ტაძარი თავიდანვე განსხვავებულად შენდებოდა, და დღესაც შენდება ან მრგვალი, ან ჯვარედინი, ან მოგრძო – ნავისებური. ამ ფორმებს თავისი მნიშვნელობაც აქვთ: მრგვალი, რომელსაც დასასრული არ უჩანს, ნიშნავს, რომ ეკლესია გვამზადებს დაუსრულებელი ცხოვრებისათვის; ჯვარედინი მოგვაგონებს ქრისტეს ჯვარს, რომელმაც დაგვისხნა ცოდვისაგან და ნიშნავს, რომ ეკლესია გვისხნის ცოდვისა და ბრალისაგან; ნავისებური შეგვაგონებს, რომ ტაძარი არის ნავი ცხოვრების ზღვაში და მისი საშუალებით შეგვიძლია მშვიდობიანად გავცუროთ ზღვა და მივიღეთ სამშვიდობო ნავსადგურში, ე. ი. სასუფეველში. ტაძრის თავი შემკულია ჯვრით და ხშირად ერთი ან რამდენიმე გუმბათით.

ტაძარი შენდება მაცხოვრის, ღვთისმშობლის, რომელიმე საღმრთო ისტორიული შემთხვევისა ან წმიდანის სახელობაზე; მაგალითად, არის ეკლესია ღმრთისმშობლის, მაცხოვრის, სამების, მირქმის, ამაღლების, ფერისცვალების, წმიდა გიორგის, ნიკოლოზის და სხვა.

ტაძრის შემადგენელი ნაწილები და მათი მნიშვნელობა

ტაძარი შედგება სამი ნაწილისაგან:

სტოა, შუა ტაძარი და საკურთხეველი. სტოაში უწინ მონახული ცოდვილები და მოსანათლად გამზადებული წარმართები იდგნენ ხოლმე (ახლა ეს ნაწილი ხშირად არა აქვს ტაძარს), შუა ტაძარში მორწმუნენი იკრიბებიან სალოცავად, საკურთხეველში კი სამღვდელთა ასრულებენ საღმრთო მსახურებას.

საკურთხეველი შუა ტაძრისაგან გამოყოფილია ფიცრის ან ქვის კედლით, რომელშიც ჩასვენებულია წმიდა ხატები; ამ კედელს კანკელი ჰქვია. კანკელს საკურთხეველში შესასვლელი სამი კარი აქვს. შუა კარს აღსავლის ან სამეფო კარები ჰქვია. აქედან შედიან საკურთხეველში მღვდელმსახურნი – ეპისკოპოსი, მღვდელი და დიაკონი ღმრთის მსახურებისათვის განკუთვნილ დროს. სხვა დროს კი დახურულია და დაბურულია ფარდით, რომელსაც **კრეტსაბმელი** ჰქვია. ერთი სამხრეთის და მეორე ჩრდილოეთის კარები აქეთ-იქით ახლავს აღსავლის კარებს. აქედან შედიან საკურთხეველში, საჭიროების დროს, საეკლესიო მსახურნი და ერის კაცნი. ქალებისათვის აკრძალულია საკურთხეველში შესვლა.

კანკელში ხატები ამნაირადაა ჩასვენებული: აღსავლის კარების სამხრეთით მაცხოვრის ხატი ასვენია, ჩრდილოეთით – ღმრთისმშობლის. მაცხოვრის ხატის გვერდით იმ წმიდანის ხატი უნდა ესვენოს, რომლის სახელზედაცაა ეკლესია აშენებული, ჩრდილოეთის და სამხრეთის კარებში ჩასვენებულია მთავარანგელოზების – მიქაელის და გაბრიელის, ან მთავარდიაკონების – სტეფანეს და ფილიპეს ხატები; აღსავლის კარებში – ღმრთისმშობლის, მთავარანგელოზ გაბრიელის (რომელიც წარმოადგენს ხარებას) და ოთხი მახარებლის: მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს ხატები; აღსავლის კარების თავზე ასვენია სერობის ხატი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ კანკელს იქით

საკურთხეველში, სრულდება საიდუმლო სერობა ან ზიარება.

საკურთხეველი

საკურთხეველი ტაძრის უმთავრესი ნაწილია. აქ სრულდება ერთი უდიდესი საიდუმლოებათაგანი – ზიარება და ამ მიზნისათვისაა მოწყობილი ტაძრის ეს ნაწილი. საკურთხევლის შუაგულში დგას ოთხკუთხა მაგიდა, ფარჩებით შემოსილი, რომელსაც საყდარი ან ტრაპეზი ჰქვია. საყდარი სამეფო ტახტს ნიშნავს. ასეთი სახელი იმიტომ ჰქვია ამ მაგიდას, რომ მასზე უხილავად სუფევს იესო ქრისტე, როგორც მეფე. ამ სახელს ხშირად მთელ

აკურთხა იგი. ოდიკის შუაგულში უკუღმა პირიდან გამოკერილია, რომელიმე მოწამის ნაწილი, ნიშნად იმისა, რომ პირველი ქრისტიანები მოწამეების საფლავებზე ასრულებდნენ საიდუმლო ზიარებას. ოდიკი შეხვეულია აბრეშუმის ან ტილოს ქსოვილში, რომელსაც ილიტონი ჰქვია და იმ არდაგს ნიშნავს, რომელშიაც შეახვიეს მიცვალებული ქრისტე.

სახარება არის წიგნი, რომელშიაც აღწერილია იესო ქრისტეს ქვეყნიური ცხოვრება – მოღვაწეობა და მისი ქადაგება. ეს წიგნი დაწერეს ქრისტეს მოციქულებმა: მათემ, მარკოზმა, ლუკამ და იოანემ. სახარე-



საკურთხევლის ტრაპეზი

ტაძარსაც ეძახიან; მაგალითად, წავიდეთ საყდარშიო, ვიტყვიო ხოლმე, ტრაპეზი ბერძნული სიტყვაა და მაგიდას ნიშნავს. ტრაპეზს ხშირად მთელ საკურთხეველს ეძახიან; მაგალითად, შევედით ტრაპეზშიო, ვიტყვიო, ტრაპეზი ნაკურთხია და მირონ-ნაცხები, აგრეთვე, მთელი ტაძარიც.

ტრაპეზზე აუცილებლად ასვენია ჯვარი, ოდიკი, სახარება და სანაწილე.

ოდიკი ოთხკუთხა მოზრდილი, თავსაფრისოდენა ქსოვილია, რომლის შუაგულში დახატულია მაცხოვრის დასაფლავება, ხოლო კუთხეებში – ოთხი მახარებელი; ქვეშ წარწერა აქვს, რომელმა ეპისკოპოსმა, როდის და რომელი ეკლესიისთვის

ბა იმიტომ დაერქვა ამ წიგნს, რომ მასში მოთხრობილია სასიხარულო ამბავი, თუ როგორ გამოიხსნა მაცხოვარმა ადამიანი ცოდვის, წყევლისა და სიკვდილისაგან; ამიტომ მათეს, მარკოზს, ლუკას და იოანეს მახარებლები ჰქვიათ. ეს წიგნი, როგორც საღმრთო წერილის სხვა წიგნები, დაწერილია სულიწმიდის შთაგონებით. ამიტომ იქ დაწერილი

ყველაფერი სარწმუნოა. როგორც ღმრთის სიტყვა.

სახარება ყველა ქრისტიანს უნდა ჰქონდეს ოჯახში და კითხულობდეს თავისუფალ დროს მაინც; აქედან კაცი თვითონ მიხვდება, თუ როგორ უნდა მოიქცეს, რომ სათნო-ეყოს (ასიამოვნოს) ღმერთს და დაიმკვიდროს ზეცათა სასუფეველი. სახარებას ყოველ წირვაზე კითხულობენ, მას მოკრძალებით და ყურადღებით უნდა ისმენდეს ყველა მლოცველი; ამასვე შეგვაგონებს მღვდელი, როცა სახარების წაკითხვის წინ ხმამაღლა ამბობს: „სიბრძნით აღემართენით და ისმინეთ წმიდა სახარება!“

სანაწილე არის ვერცხლის ან რომელიმე სხვა ლითონის ყუთი, რომელშიც ინახება წმიდა ნაწილები იესო ქრისტეს სისხლისა და ხორცისა. ამ ნაწილებით მღვდელი შემთხვევის დროს აზიარებს ხოლმე მომაკვდავ ავადმყოფს. ამ ნაწილებს მღვდელი ამზადებს დიდ სუთმობათს და მთელი წლის განმავლობაში იყენებს.

ამათ გარდა ტრაპეზზე უნდა ესვენოს აგრეთვე სამირონე წმიდა მირონით, რომელსაც მღვდელი იყენებს სურნელოვანი ზეთების ნახავია, რომელსაც აკურთხებს კათოლიკოს-პატრიარქი. მირონი ისეთი სიწმინდეა, რომლის შეხება მხოლოდ მღვდელს შეუძლია.

სამკვეთლო

საკურთხეველის ჩრდილოეთის კედელზე მიდგმულია მეორე მაგიდა, ასევე ფარჩებით შემოსილი, რომელსაც სამკვეთლო ჰქვია, ასეთი სახელი იმიტომ დაარქვეს, რომ აქ სრულდება კვეთა, ანუ პურისა და ღვინის შემზადება ზიარების საიდუმლოსათვის. აქ ასვენია წმიდა ჭურჭელი და სხვა საგნები, რომლებიც საჭიროა ზიარების შესრულების დროს. ესენია: **ბარძიმი, ფეშხუმი, ვარსკვლავი, დაფარნები, ლახვარი, კოვზი და ღრუბელი.**

ბარძიმი არის ძვირფასი ლითონისაგან (ოქრო, ვერცხლი) დამზადებული მაღალი, ფეხიანი სასმისი, რომელშიც ასხამენ ზიარებისათვის საჭირო ღვინოს.

ფეშხუმი არის ლითონისავე, ბრტყელი და დაბალფეხიანი ლამბაქი, რომელზედაც ასვენია ზიარებისათვის გამზადებული პური.

ვარსკვლავი არის ორი ერთი-მეორეზე გადაჯვარედინებული ლითონის მოღუნული ყავარი, რომელსაც დგამენ ხოლმე ფეშხუმზე იმ მიზნით, რომ დაფარნა არ შეეხოს მასზე დასვენებულ ნაწილებს.

დაფარნა არის საგანგებოდ გამოჭრილი და შეკერილი ბარძიმისა და ფეშხუმის გადასაფარებელი. დაფარნა სამია: ერთი – დიდი და ორი – პატარა. პატარებით იხურება ბარძიმი და ფეშხუმი ცალ-ცალკე, დიდით – ორივე ერთად.

ლახვარი არის ხის ან ძელის ტარზე წამოგებული ორპირიანი სამკუთხა დანა, რომლითაც კვეთენ (ჭრიან) საზიარებლად გამზადებულ პურს.

კოვზით აზიარებენ მორწმუნეებს.

ღრუბლით წმენდენ ბარძიმს.

სხვა საეკლესიო ჭურჭელთაგან უნდა აღვნიშნოთ საცეცხლური, რომლითაც მღვდელი აკმევს საკმეველს.

ამ ჭურჭლებს და საგნებს თავისი მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, ბარძიმი მოგვაგონებს იმ სასმისს, რომლითაც მაცხოვარმა აზიარა მოციქულები საიდუმლო სერობაზე; ფეშხუმი – ბაგას, სადაც მაცხოვარი მიიწვინა შობის შემდეგ, და საფლავს, სადაც იგი დაასვენეს სიკვდილის შემდეგ; ვარსკვლავი – შობის ვარსკვლავს, რომელიც წინ უძღვოდა აღმოსავლეთიდან მომავალ მოგვებს; დაფარნები – სახვევლებს, რომელშიც შეახვია ქალწულმა ახლადშობილი ქრისტე და – სუდრებს, რომლებშიც შეგრაგნეს მიცვალებული ქრისტე; ლახვარი – იმ ლახვარს, რომლითაც უგმირეს ჯვარცმულ ქრისტეს; ღრუბელი – იმ ღრუბელს, რომელიც მხედარმა დაასველა ნაღველნარევ ძმარში; კოვზი – ლერწამს, რომლითაც ეს დასველებული ღრუბელი მიაწოდეს ჯვარცმულ იესოს დასალევად.

ღვთისმსახურების შესახებ

ღვთისმსახურება ჰქვია განწესებულ რიგზე დაწყობილ ღოცვებს და საღმრთო მოქმედებებს, რასაც მღვდელი ასრულებს ეკლესიაში ან ეკლესიის გარეთ. ღვთისმსახურება არის საზოგადო და კერძო. საზოგადო ღვთისმსახურება არის ის, რომელიც სრულდება საზოგადოდ ყველა ქრისტიანთათვის; მაგალითად, წირვა, მწუხრი, ცისკარი და სხვა. კერძო ღვთისმსახურება არის ის, რომელიც სრულდება რომელიმე კერძო პირისათვის, ცოცხლის ან მიცვალებულისათვის; მაგალითად, პარაკლისი, პანაშვიდი, სახლის კურთხევა, წესის აგება და სხვა. საზოგადო ღვთისმსახურება სრულდება უმთავრესად ეკლესიაში, კერძო შესაძლებელია სახლშიც შესრულდეს.

ღვთისმსახურებას ასრულებენ მღვდელი,

დიაკონი, მედავითნე და მგალობლები. მღვდელს მარტოც შეუძლია მისი შესრულება.

ღვთისმსახურების დროს სამღვდელთა შესაფერ ტანისამოსს იცვამენ; მაგალითად, დიაკონი იცვამს: სტიქარს, გინგილას და სამკლავებს; მღვდელი: სტიქარს, ბისონს, ოლარს, ომფორს, ენქერს, მიტრას, პანალიას. დამსახურებული მღვდლები დამატებით: საგვერდულს, სკუფიას ან კამილაფკას (კუნკულს), ენქერს და მიტრასაც.

სტიქარი გრძელი და ფართოსახელოებიანი ჩასაცმელია; გინგილა მხარზე გადასაკიდი გრძელი და ვიწრო ბაფთია; მღვდლის და ეპისკოპოსის სტიქარი იგივეა, რაც დიაკონისა, იმ განსხვავებით, რომ მათ ვიწრო სახელოები აქვთ. ოლარი გულზე ჩამოსაკიდი ორად შეკეცილი გინგილაა. სარტყელი წელზე შემოსარტყმელი მოგრძო და წერილი ბაფთია; ფილონი ზემოდან ჩამოსაცმელი სამოსელია, რომელსაც სახელოები არ აქვს და არც წინა კალთა მკერდს დაბლა; ბისონი იგივე სადიაკნო სტიქარია, მხოლოდ უფრო მოკლე; ომფორი გრძელი და ფართო ბაფთია, მხრებზე სატარებელი; საგვერდული და ენქერი გვერდზე ჩამოსაკიდი ოთხკუთხი განიერი სამკაულებია, რომლებიც განირჩევიან ერთმანეთისაგან ფორმით: საგვერდული მართკუთხა ფორმისაა, ენქერი – რომბისებური. მიტრა, სკუფია და კამილაფა თავზე დასახურავია; პანალია ღვთისმშობლის ან მაცხოვრის მრგვალი ხატია, რომელსაც ეპისკოპოსი მუდამ გულზე ატარებს, როგორც მღვდელი – ჯვარს. სამღვდლო სამოსელს თავის მნიშვნელობაც აქვს, მაგალითად: სტიქარი, ფილონი და ბისონი მოგვაგონებს იმ სამოსელს, რომლითაც შემოსეს იესო განსჯის დროს; სკუფია, კამილაფა და მიტრა მოგვაგონებს ეკლის გვირგვინს; ოლარი და გინგილა სამღვდლო მადლს ნიშნავს.

საეკლესიო წიგნები

საღმრთო მსახურებისათვის საჭირო წიგნებს საეკლესიო წიგნები ჰქვია. ესენია: სახარება, სამოციქულო, ჟამნი, დავითნი, მარხვანი, სადღესასწაულო, ზატიკი, კურთხევანი, კონდაკი და სხვ.

სამოციქულო არის კრებული, რომელშიც შედის: საქმე მოციქულთა, პავლეს 14 ეპისტოლე და 7 კათოლიკე ეპისტოლე. ამ წიგნს კითხულობენ ყოველ წირვაზე;

ჟამნი არის წიგნი, რომელშიც მოთავსებულია წესი შუადამის ღოცვისა, ცისკრისა, ჟამნებისა და სხვა;

დავითნი დავით მეფის მიერ დაწერილი საგალობლების ანუ ფსალმუნების კრებულია. კითხულობენ თითქმის ყოველი ღვთისმსახურების დროს;

პარაკლიტონი არის წიგნი, რომელშიც მოთავსებულია მოკლე საგალობლები, რვა სხვადასხვა ხმაზე დაწყობილი, კითხულობენ უმეტეს ნაწილად მწუხრზე და ცისკარზე;

თვენი არის წიგნი, რომელიც შეიცავს ღოცვებს და საგალობლებს თვის თითოეული დღისათვის ცალკე;

სადღესასწაულო – გამოკრებილი თვენია, რომელშიც მოთავსებულია უმთავრესი დღესასწაულების საღმრთო მსახურება;

მარხვანი არის წიგნი, რომელსაც მოთავსებულია დიდმარხვაში წარმოსათქმელი ღოცვები და საგალობლები;

ზატიკი არის წიგნი, რომელშიც მოთავსებულია აღდგომიდან ამდღებამდე წარმოსათქმელი ღოცვები და საგალობლები;

კურთხევანში მოთავსებულია საეკლესიო საიდუმლოების და სხვა საეკლესიო წესების შესრულების დროს საჭირო ღოცვები;

კონდაკს იყენებს მღვდელი, შიგ მოთავსებულია მღვდლის სათქმელი ღოცვები და კვერექსები (მწუხრზე, ცისკარზე და წირვაზე).

ღამისთევის ღოცვა

უმთავრესი საზოგადო საღმრთო მსახურებანი შემდეგია: **ცისკარი** და **წირვა**. მწუხრი საღამოს სრულდება. როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს (მწუხრი – საღამო), **ცისკარი** – **გათენებისას** (ცისკარი – განთიადი), **წირვა** – **დღის ცხრა ან ათი საათიდან**. დიდი დღესასწაულების წინაღობით მწუხრს და ცისკარს შეერთებულად ღოცულობენ. ასეთ ღოცვას ჰქვია **ღამისთევის ღოცვა**. ძველ დროში (და დღესაც ზოგიერთ მონასტრებში)

ამ ღოცვას საღამოს იწყებენ და დილის 8-9 საათზე ამთავრებენ, ე. ი. მთელ ღამეს განუწყვეტლივ ღოცულობდნენ, ამიტომაც ღამისთევის ღოცვა დაერქვა.

ღამისთევით ღოცვა ასე სრულდება: საღამოს მღვდელი შევა ეკლესიაში, დაიკიდებს ოლარს, ჩაიცვამს ფილონს, გააღებს სამეუფო კარებს, მიიღებს საცეცხლურს, აკმევს მთელს ეკლესიაში, შემდეგ დადგება ტრაპეზის წინ და იტყვის: „დიდება წმიდასა და ერთარსსა და ცხოველსმყოფელსა და განუყოფელსა სამებასა ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“.

მგალობლები – „ამინ“.

მღვდელი – „მოვედით თაყვანი ვცეთ მეუფესა ჩვენსა ღმერთსა. მოვედით თაყვანი ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა მეუფესა ჩვენსა ღმერთსა, მოვედით თაყვანი ვსცეთ და შეუვრდეთ თვით ქრისტესა, მეუფესა და ღმერთსა ჩვენსა; მოვედით თაყვანი ვსცეთ და შეუვრდეთ მას.“

შემდეგ მკითხველი ან მგალობელი წაიკითხავს ფსალმუნს: „აკურთხევს სული ჩემი უფალსა“. ამ ფსალმუნში გამოთქმულია დიდება და ძლიერება ღმერთისა ქვეყნის გაჩენის საქმეში. ამ ფსალმუნის კითხვისას მღვდელი დახურული სამეუფო კარების წინ, ამბიონზე (მაღალი დასადგომელი სამეუფო კარების წინ, შუა ტაძარში) კითხულობს საიდუმლო ღოცვებს. ეს მოქმედება მოგვაგონებს ადამის სამოთხიდან განდევნას.

ფსალმუნის დასრულებისას მღვდელი იტყვის დიდ კვერექსს, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, თვით ღოცვებს და მლოცველებსაც აუწყებს, თუ რა უნდა სთხოვონ ქვეყნის გამჩენს, ღმერთს; მაგალითად, მღვდელი მოუწოდებს მლოცველებს, ილოცონ: სულის მშვიდობისათვის, ეკლესიების სიკეთისათვის; ყველას ერთობისათვის; ადგილობრივი ტაძრის მრევლისათვის, კათოლიკოს-პატრიარქისათვის, ადგილობრივი ეპისკოპოსისათვის, სასულიერო დასისათვის და ერისათვის... ჩვენი გამოსწავლისათვის ყოველისა ჭირისა და შეწუხებისაგან; შეწევნისა და ცხონებისა ჩვენისათვის.

თითოეულ ამ მოწოდებაზე მლოცველები, ან მათ მაგიერ მგალობლები მიუგე-

ბენ: „უფალო შეგვიწყალებნ!“ ამის შემდეგ იკითხება „დავითნიდან“ პირველი კანონი: „ნეტარ არს კაცი“. ამ ფსალმუნში გამოთქმულია დასჯილი ადამიანის სინანული, რომელიც აღიარებს, რომ ბედნიერია ის კაცი, ვინც ღმრთის სჯულს ადგას და მასზე ფიქრობს დღე და ღამე. შემდეგ ითქმის მცირე კვერექსი, რომლითაც მღვდელი მოუწოდებს შეცოდებულ ადამიანს დაუცხრომელად „მერმე და მერმე“ ევედროს ღმერთს, კვერექსი რომ დასრულდება, მკითხველი ან მგალობელი, თითქოს პასუხად მღვდლის მოწოდებაზე, იტყვის ღოცვას: „უფალო დაღადეყავ შენდამი, ისმინე ჩემი, უფალო...“ ეს ღოცვა მოგვაგონებს შეცოდებული ადამიანების სინანულს და ვედრებას გამოსწავლისათვის.

ყოველივე ამას მოსდევს რამდენიმე მოკლე საგალობელი, რომლის კითხვაში მღვდელი აკმევს მთელს ეკლესიას. შემდეგ გააღებს სამეუფო კარებს, გამოვა საკურთხეველიდან, ჩრდილოეთის კარით, დადგება სამეუფო კარებში და საცეცხლურით ხელში იტყვის: „სიბრძნით აღემართენით“ და შევა საკურთხეველში. ამას ჰქვია შესვლა საცეცხლურითა. ეს მოქმედება მოგვაგონებს ღმრთის გამოცხადებას სამოთხეში და შეცოდებული ადამის მოწოდებას. ითქმის ღოცვა: „ნათელი მხიარული...“ რაც მოგვაგონებს აღთქმას მაცხოვრის მოვლინების შესახებ. ამას მოსდევს მრჩობლი კვერექსი – „შეგვიწყალებნ ჩვენ, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა“. ამ კვერექსში მღვდელი ხალხის მაგიერ ევედრება ღმერთს: „კათოლიკოს-პატრიარქისა და ეპისკოპოსისათვის, ქრისტესმოყვარე მხედრობისათვის, მღვდელთათვის და ყოველთა ქრისტეს მიერ ძმათათვის; ეკლესიის აღმშენებელთათვის და ყოველთა გარდაცვალებულთა ძმათათვის; ეკლესიის შემომწირველთათვის და იქ მგალობელთა, მშრომელთა და მღვთმარეთათვის, რომლებიც მოელიან ღვთისაგან დიდსა და მდიდარსა წყალობასა. თითოეულ ამ თხოვნაზე მგალობლები იტყვიან: „უფალო შეგვიწყალებნ“ (სამჯერ). ამის შემდეგ იკითხება ღოცვა: „და ღირსმყვენ ჩვენ, უფალო“ და ითქმის თხოვნითი კვერექსი. ამ კვერექსში

მღვდელი მოუწოდებს მლოცველებს ითხოვონ ღმრთისაგან: ანგელოზი მცველი მშვიდობისა და წინამძღვარი, შენდობა და მოტყევა ცოდვებისა, კეთილი და უმჯობესი სულისათვის და დანარჩენი ჩვენი ცხოვრების დღეების მშვიდობით და სინანულით გატარება; ჩვენი ცხოვრების ქრისტიანული დასასრული და კეთილი სიტყვის (პასუხის) გება საშინელი სამსჯავროს დროს. თითოეულ სათხოვარზე მგალობლები მიუგებენ: „მოგვმადლე უფალო!“ ამას მოსდევს წასაკითხი ლოცვები: „აწ განმიტყვე“ და „ღმრთისმშობელო ქალწულო“. ეს ლოცვები მოგვაგონებენ იესო ქრისტეს მოსვლას ქვეყანაზე. აქ დასრულდება მწუხრი და დაიწყება ცისკარი. დიდ დღესასწაულებში მწუხრზე აკურთხებენ ხოლმე პურს, ხორბალს, ღვინოს და ზეთს.

ცისკარი იწყება ექვსფსალმუნის კითხვით. ამ ფსალმუნებში გამოთქმულია მწუხარება შეცოდებული ადამიანისა და იმედი გამოსხნისაც. ექვსფსალმუნის დასასრულ ითქმის დიდი კვერექსი, როგორც მწუხრზე. მგალობლები იტყვიან: „ღმერთი უფალი



და გამოგვიჩნდა ჩვენ, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“. ეს ლოცვა მოგვაგონებს იესო ქრისტეს მოსვლას ქვეყანაზე. შემდეგ იკითხება „დავითნის“ ორი კანონი და თითოეულზე ითქმის მცირე კვერექსი. ამის შემდეგ – სახარება საციხკრო. საციხკრო სახარებაში მოთხრობილია იესო ქრისტეს აღდგომის ამბავი. წაკითხ-

ვის შემდეგ სახარებას გამოასვენებენ შუა ტაძარში, სადაც მორწმუნენი ეამბორებიან. ეს მოქმედება მოგვაგონებს მკვდრეთით აღდგომილი მაცხოვრის გამოცხადებას. შემდეგ ითქმის: „აცხოვნე, ღმერთო, ერი შენი“. იკითხება საგალობლები და ითქმის მცირე კვერექსები. მღვდელი იტყვის: „დიდება შენდა, რომელმან მოგვფინე ნათელი“; მგალობლები იტყვიან ლოცვას: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა...“ ეს მოქმედება მოგვაგონებს გამოსხნილი ადამიანის სიხარულს და მის დიდებას ღმრთისადმი. შემდეგ ითქმის იგივე მრჩობლი და თხოვნითი კვერექსები და განტყევა, ან დასამთავრებელი ლოცვა.

ლიტურგია

ლიტურგია (ჩვენებურად – წირვა) არის ისეთი საღმრთო მსახურება, რომელზედაც სრულდება ზიარების საიდუმლო. ლიტურგია იყოფა სამ ნაწილად – **პროსკომიდია, ლიტურგია კათაკმეველთა და ლიტურგია მორწმუნეთა.**

პროსკომიდია ნიშნავს შესაწირავს. ასეთი სახელი წირვის პირველ ნაწილს იმიტომ დაერქვა, რომ ამ დროს შეიწირება პური და ღვინო, ზიარების საიდუმლოსათვის. ლიტურგიაზე გამოსაყენებელ პურს **სეფისკვერი** ჰქვია, ღვინოს – **ზედაშე**. სეფისკვერი უნდა იყოს ხორბლის ფქვილისა და უთუოდ გაფუებული; ზედაშე – ნამდვილი ყურძნის წვენი-სა და უთუოდ წითელი. პროსკომიდიას ასრულებს მღვდელი სამკვეთლოზე, საზიარებლად იყენებს სეფისკვერის შუაგულს რომელზედაც აწერია: **იესო ქრისტე, ნიკე** (ქართულად: იესო ქრისტე ძლევა). როცა მღვდელი ამ ნაწილს ამოიღებს და ფეშხუმზე დაასვენებს, მას უკვე **ტარიგი** ეწოდება (ტარიგი – კრავი, ბატკანი) და მოგვაგონებს იმ ტარიგს, რომელიც დაკლეს და ჭამეს ებრაელებმა ეგვიპტიდან გამოსვლის წინ და რომლის

სისხლმაც გადაარჩინა მათი პირმშობები სიკვდილს; ეს ტარიგი კი მომასწავებელი იყო იესო ქრისტესი, რომელმაც თავისი სისხლით დაიხსნა ადამიანი სულიერი სიკვდილისაგან. ფეშხუმზე დასვენებულ ტარიგს მღვდელი ჯვარედინად გაჭრის ისე, რომ ერთიმეორეს არ დასცილდეს – იმის მოსახსენებლად, რომ იესო ქრისტე დაიკლა ჩვენი ცოდვებისათვის; შემდეგ ლახვრით უგმერს მას მარჯვენა მხარეს – იმის მოსახსენებლად, რომ ჯვარცმულ იესოს ერთმა მხედართაგანმა ლახვარი უგმირა გვერდში. აქ მღვდელი ჩაასხამს ბარძიმში ღვინოსა და წყალს იმის მოსახსენებლად, რომ მაცხოვრის ნაგმირი გვერდისაგან გადმოვიდა სისხლი და წყალი. ტარიგის გარდა მღვდელი სხვა სეფისკვერებიდანაც ამოიღებს ნაწილებს: ღმრთისმშობლის, წმიდანების, ცოცხლებისა და მიცვალებულების მოსახსენებლად. ამნაირად თავისი მეუფისა და მხსნელის გარშემო არიან ღმრთისმშობელი, წმიდანები, ცოცხლები და მიცვალებულები, ღმრთისმშობელთან და სხვა წმიდანებთან ერთად, შევადგენთ ერთ სამწყსოს, რომლის მწყემსი და თავი არის მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. ამნაირად შემზადებულ პურსა და ღვინოს დაბურავენ დაფარნებით და დატოვებენ სამკვეთლოზე.

ამის შემდეგ მღვდელი იტყვის: „კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე!“ და იწყება ჟამნობა. პირველ ქრისტიანებს ჩვეულება ჰქონდათ განსაზღვრულ ჟამნებზე ანუ საათებზე ღოცვა, ჟამებს კი ებრაულად ითვლიდნენ. ღოცულობდნენ, მაგალითად, მესამე ჟამზე (ჩვენებურად დღის მეცხრე საათზე) მოსახსენებლად იმისა, რომ ამ დროს გადმოვიდა მოციქულე-ბზე სულიწმიდა; მეექვსეზე (ჩვენებურად დღის მეოთხრემეტე საათზე) – მოსახსენებლად იმისა, რომ ამ დროს ჯვარს აცვეს მაცხოვარი. მეცხრეზე (ჩვენებურად ნაშუადღევს 3 საათზე) – მოსახსენებლად იმისა, რომ ამ დროს მიიცვალა ჯვარზე ქრისტე მაცხოვარი. აი, აქედან წარმოსდგა ახლანდელი ჟამების, ანუ **ჟამნების** ღოცვა, რომელიც შედგება ფსალმუნებისაგან და სხვადასხვა ღოცვებისაგან. წირვაზე

კითხულობენ მესამე და მეექვსე ჟამს, ხან – მეცხრესაც (პირველშეწირულისწირვაზე).

ლიტურგია კათაკმეველთა

ჟამნები რომ დასრულდება, მღვდელი იტყვის: „კურთხეულ არს მეუფება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე“. და დაიწყება ლიტურგია კათაკმეველთა. ამ დროს ითქმის კვერექსი – ერთი ღიდი და ორი მცირე. მკითხველი დაიწყებს: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა“. ამის კითხვაში მღვდელი გაადებს სამეუფო კარებს, აასვენებს ტრაპეზიდან სახარებას, გამოვა ჩრდილოეთის კარით, დადგება სამეუფო კარებში და იტყვის: „სიბრძნით აღემართენით“. ამ მოქმედებას ჰქვია **მცირე შესვლა** და მოგვაგონებს იესო ქრისტეს საქადაგებლად გამოცხადებას. მგალობლები იტყვიან: „მოვედით, თაყვანი ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა, გვაცხოვნენ ჩვენ, ძეო ღმრთისაო, აღდგომილო მკვდრეთით (ან: „წმიდათა შინა საკვირველო“), მგალობელნი შენნი, აღელუია“. – ამით მგალობლები მოუწოდებენ მლოცველებს და ეუბნებიან, მიეგებონ გამოცხადებულ ქრისტეს და თაყვანი სცენ მას. რამდენიმე მოკლე ღოცვის შემდეგ ითქმის „წმიდაო ღმერთო“, და ამას მოჰყვება ჯერ სამოციქულოს და შემდეგ სახარების კითხვა; რაც მოგვაგონებს იესო ქრისტეს და მოციქულების ქადაგებას. ითქმის მრჩობლი კვერექსი და რამდენიმე მცირე კვერექსი და დასრულდება კათაკმეველთა ლიტურგია სიტყვებით: „კათაკმეველნო, განვედით!“ **წირვის ამ ნაწილზე შეეძლოთ დასწრება კათაკმევლებს, ე. ი. მოსანათლავად გამზადებულ წარმართებს და ამიტომ დაერქვა კათაკმეველთა ლიტურგია.** ამის შემდეგ კათაკმევლებს უნდა დაეტოვებინათ ტაძარი და გასულიყვნენ გარეთ.

ლიტურგია მორწმუნეთა

ასეთი სახელი დაერქვა ლიტურგიის მე-სამე ნაწილს იმიტომ, რომ მასზე დასწრება მხოლოდ მორწმუნეებს შეეძლოთ. ეს ნაწილი ლიტურგიისა იწყება სიტყვებით: „არამედ, რაოდენი მორწმუნენი ვართ, მერმე და მერმე მშვიდობით უფლისა მიმართ

ვილოცოთ“. რამდენიმე მცირე კვერექსის შემდეგ მღვდელი გააღებს სამეუფო კარებს. აკმევს მთელს ეკლესიას და შემდეგ ტრაპეზის წინ მდგომარე ხელაპყრობით იტყვის სამგზის ღოცვას: „რომელი ქერუბიმთა საიდუმლოდ ვემსგავსებით და ცხოველსმოფელისა სამებისა სამწმიდაარსობისა გალობასა შევსწირავთ, ყოველივე მსოფლიო დაუტევოთ ზრუნვა“. ამასვე იტყვიან ხმამაღლა მგალობლები, რითაც მოუწოდებენ მლოცველებს, დატოვონ ყოველივე ქვეყნიური ზრუნვა და მთელი თავისი ყურადღება მიაპყრონ იმას, რაც ამის შემდეგ შესრულდება საკურთხეველში, როცა ხელაპყრობით ღოცვას დაამთავრებს მღვდელი, აასვენებს სამკვეთლოზე ბარძიმ-ფეშხუმს, გამოვა ჩრდილოეთით, დადგება ამბიონზე და მოიხსენებს კათალიკოს-პატრიარქს, ეპისკოპოსს, ეკლესიაში მყოფ მართლმადიდებელ მლოცველებს და შებრუნდება საკურთხეველში აღსავლის კარებით, დაასვენებს ბარძიმ-ფეშხუმს გაშლილ ოდიკზე და დახურავს კარებს, ბარძიმ-ფეშხუმის გადასვენებას დიდი შესვლა ჰქვია და მოგვაგონებს იესო ქრისტეს წაყვანას ჯვარცმისათვის, თვით ჯვარცმას, სიკვდილსა და დასაფლავებას. მღვდლის შემდეგ მოქმედებაში აღსანიშნავია წარმოთქმა სიტყვებისა – „მიიღეთ და ჭამეთ“ და „სუთ ამისგან ყოველთა“. და სულიწმიდის მოწვევა, და შეცვლა პურისა და ღვინისა იესო ქრისტეს ხორცად და სისხლად, რომელიც მოხდება მაშინ, როცა მღვდელი აკურთხებს პურს ჯვრის დასახვით და იტყვის: „და ჰყავ უკუე პური ესე პატიოსან ხორც ქრისტეს შენისა“. შემდეგ აკურთხებს ბარძიმს და იტყვის: „ხოლო ბარძიმსა ამას შინა პატიოსან სისხლ ქრისტეს შენისა“. ბოლოს ორივეს ერთად გადასახავს ჯვარს და იტყვის: „შეცვალე სულითა შენითა

წმიდითა“. როცა მღვდელი ეზიარება და ფეშხუმზე მდებარე წმიდა ნაწილებს ბარძიმში ჩაასვენებს, გააღებს სამეუფო კარებს, გამოასვენებს ბარძიმს და იტყვის: „შიშითა ღმრთისათა და სარწმუნოებით მოვედით“. ეს მოქმედება მოგვაგონებს აღდგომილი მაცხოვრის გამოცხადებას. ამ დროს ეზიარებიან გამზადებული მორწმუნენი. შემდეგ ერთხელ, კიდევ გამოასვენებს მღვდელი ბარძიმსა და ფეშხუმს და იტყვის: „აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“ – და გადაასვენებს სამკვეთლოზე. ეს მოქმედება ნიშნავს აღდგომილი მაცხოვრის უკანასკნელ გამოცხადებას და ამადლებას ზეცად. ამის შემდეგ მღვდელი იტყვის მცირე კვერექსს, წაიკითხავს ამბიონის ღოცვას და იქნება განტყევა.

ამნაირად, წირვა მოგვაგონებს ქვეყნად მაცხოვრის მოღვაწეობის უმთავრეს შემთხვევებს. საღმრთო ლიტურგიას ძველ დროში სხვადასხვანაირად ასრულებდნენ, ვისაც როგორ სურდა. ამიტომ ქალაქ კესარიის მთავარეპისკოპოსმა **წმიდა ბასილი დიდმა შეადგინა** საყოველთაო სახელმძღვანელო წირვის წესი. შემდეგ ეს ლიტურგია შეამოკლა **მთავარეპისკოპოსმა წმიდა იოანე ოქროპირმა**. დღეს ხმარებაშია უმეტესწილად ლიტურგია იოანე ოქროპირისა. ბასილი დიდის წირვა წელიწადში მხოლოდ ათჯერ სრულდება. არის კიდევ ლიტურგია პირველშეწირულისა, რომელიც სრულდება მხოლოდ დიდმარხვის ოთხშაბათ-პარასკეს. იგი შეადგინა რომის ეპისკოპოსმა **წმიდა გრიგოლ დიპლომონმა**.

გამოსაცემად მოამზადეს:
ზურა კალანდაძემ,

† ზურა სარჯველაძემ.

ელგუჯა გიუნაშვილმა

TAZARSI QCEVIS WESEBI

მართლმადიდებლური ტაძარი უფლის სახლია და ამდენად, წმიდა, განსაკუთრებული ადგილია. ამიტომ, ტაძარში კრძალვით უნდა ვიქცეოდეთ, იქ დაბრძანებული სიწმიდეები არ უნდა შეურაცხევით და ღვთის რისხვა არ მოვიწიოთ.

სასურველია, მსახურებაზე ცოტა ადრე მივიდეთ. ეკლესიაში შესვლისას პირჯვარი უნდა გამოვისახოთ, მცირე მეტანია გავაკეთოთ და გულში ღოცვა წარმოვთქვათ: „შევიდე სახლსა შენსა, თაყვანისვსცე ტაძარსა წმიდასა შენსა შიშითა. შენითა, უფალო, მიძელე მე სიმართლითა შენითა და მტერთა ჩემთათვის წარმართე შენ წინაშე გზაი ჩემი“.

ეკლესიაში მამაკაცები უქუდოთ შედიან, ქალები კი – თავდაბურულნი, შესაბამისად ჩაცმულნი და თვალში საცემი მაკიაჟის გარეშე.

არ შეიძლება: საუბარი, ხელების ჯიბეებში ჩაწყობა, საღეჭი რეზინის ღეჭვა. დაუშვებელია ეკლესიაში გადაადგილება, სიარული, აუცილებლობის გარეშე. წირვა-ღოცვაზე სანთლების დანთება და ხატების მოხვევა კრძალვით, შესაბამის დროს უნდა აღესრულებოდეს და სხვა მლოცვეებს ხელი არ უნდა შეეუშალოთ.

ეკლესიაში ნაცნობ-მეგობრებს არ უნდა გამოველაპარაკოთ, – მოკლედ მივესალმოთ და საუბრები შემდგომისათვის გადავდოთ (საყურადღებოა ათონის მთის მაგალითი, სადაც წირვა – ღოცვის დროს ერთი სიტყვის თქმაც კი დაუშვებელია; თუ ძალიან აუცილებელია, გარეთ გაუხმობენ ადამიანს და იქ ეტყვიან სათქმელს).

დაუშვებელია სიარული და საუბარი სახარების კითხვის დროს, „რომელნი ქერუბიმთას“ გალობის დროს, ლიტურგიაზე ექპარისტული კანონის (მრწამსიდან მა-

შაო ჩვენომდე) შესრულებისას. ამ დროს სანთლების დანთება და ხატებზე მოხვევა სასურველი არ არის.

განსაკუთრებული ყურადღება მართებთ ღვთის სახლში ბავშვებით მოსულებს. ბავშვებს ეკლესიაში მოყვანამდე კარგად უნდა აუხსნათ, რომ ტაძარი ის ადგილია, სადაც ისინი გამორჩეული კრძალვით უნდა იდგნენ; რომ აქ სათამაშო და გასართობი ადგილი არ არის. მსახურების დროს კი ყურადღება უნდა მიაქციონ ბავშვებს, რომ არ ირბინონ, არ იცინონ და არ იცელქონ. ეცადეთ, ატირებული ბავშვი დაამშვიდოთ ან ეკლესიიდან ცოტა ხნით გაიყვანოთ.

ეკლესიაში დაჯდომა დასაშვებია, მხოლოდ ავადმყოფობის ან ძლიერი დაღლილობის გამო. ფეხი ფეხზე გადადებული ჯდომა დაუშვებელია.

როდესაც მლოცველები იხოქებენ, საჭიროა მათ შევეუერთდეთ.

არ შეიძლება ეკლესიის ეზოში მოწევა, ცხოველებით და ფრინველებით შესვლა.

თუ ეკლესიაში ჩვენმა ახლობელმა ან ნაცნობმა ქცევის წესები დაარღვია, შენიშვნა ძალზე ფრთხილად და დელიკატურად უნდა მივცეთ. საერთოდ, უკეთესია შენიშვნებისგან თავის შეკავება, თუკი რაღაც ზედმეტი არ ხდება.

ეკლესიაში დარჩენა საჭიროა ღვთისმსახურების დამთავრებამდე. დროზე ადრე წასვლა მხოლოდ უძღურებისა და სერიოზული აუცილებლობის გამო არის მიზანშეწონილი. წმიდა მამები შეგვახსენებენ, რომ იუდა ისკარიოტელში ეშმაკი მაშინ შევიდა, როდესაც მან უფლის ხელიდან ზიარება მიიღო და სერობის დასრულებამდე გავიდა.

~ FIQREBI SAQARTVEL OZE ~

ემიგრანტი მწერალი ილია კუჭუხიძე (ფსევდონიმი — მინდია ლაშაური) დაიბადა 1910 წელს, ხობის რაიონის სოფელ აბასთუმანში.

ილიამ ხობის სამრევლო სკოლის დამთავრების შემდეგ, ქუთაისში გააგრძელა სწავლა. 1927 წელს ბათუმში ვაჟთა გიმნაზია დაამთავრა, სადაც პოეტ სიმონ ჩიქოვანს დაუმეგობრდა. 1924 წელს თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი სიბრძნისმეტყველების განხრით დაასრულა; ხოლო პარალელურად სწავლობდა ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე. უნივერსიტეტში სწავლისას დაქორწინდა ნატო სოლოლაშვილზე. მათ ქალ-ვაჟი შეეძინათ. ამ პერიოდში ილია ბევრს წერდა და მუშაობდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს იგი ტყვეთა ბანაკში მოხვდა, საიდანაც ვლადიმერ ცხომელიძემ გამოიხსნა და შემდეგ მუშაობა დაიწყო ბერლინში გამომავალ ქართულ გაზეთ „საქართველოში“, რომელსაც რედაქტორობდა გაიოზ მაღლაფერიძე; 1942-44 წლებში „ქართველი ერის“ რედაქციაში, ვიქტორ ნოზაძის მდივნად მსახურობდა. გაზეთში თავი მოიყარეს ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო მოღვაწეებმა: გრიგოლ რობაქიძემ, აკაკი პაპავამ, ტიტე მარგველაშვილმა, გიგო დიასამიძემ, რევაზ გაბაშვილმა, ისიდორე მანწკავამ და სხვებმა.

ომის შემდეგ მრავალი გაჭირვება გამოიარა ილიამ. მან მოვლო ავსტრია, ზალცბურგი, ბავარია. მუშაობდა შეშის მჭრელად, ასრულებდა მძიმე სამუშაოებს. ბოლოს, ქართველ ემიგრანტთა შემწეობით, მიუნხენში დასახლდა და უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ქართულ ენას ასწავლიდა. ილია ლაშაურის (კუჭუხიძე) პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია „საქართველოს XIX-XX სს. ისტორია“ 1957 წ., „წმიდა ნინო ქართველთაგანმანათლებელის როლი საქართველოში“ 1959 წ., „ქართული სული“ 1961 წ., ფიქრები საქართველოზე“ 1938 წ. ილია კუჭუხიძე 1992 წლის 26 მაისს გარდაიცვალა.

გურამ შარაძე „უხცოვოთის ცის ქვეშ“

ქრისტიანობის როლი საქართველოში

წმიდა ნინო ქართველთა განმანათლებელის დაუღალავი შრომის შედეგად გაიმარჯვა ქრისტეს მოძღვრებამ საქართველოში.

მიიღო რა ქრისტიანობა აღმოსავლეთ რომის იმპერიიდან, საქართველო მთლიანად ექცევა საბერძნეთის (ბიზანტიის) ძლიერი კულტურული და პოლიტიკური გავლენის სფეროში. საქართველო ბიზანტიის მოკავშირე ხდება და ამავე დროს, აღმოსავლეთში — ბიზანტიის პოლიტიკის მატარებლად წარმოდგება.

მაგრამ თქმა იმისა, თითქოს საქართველო ბერძნულ კულტურას დასწავებოდეს, მხოლოდ ქრისტიანობის მიღების შემდეგ, არ იქნებოდა სწორი. საქართველო (იბერია, კოლხეთი), ჯერ კიდევ წარმართულ ეპოქაში

კულტურულად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაკავშირებული იყო ბერძნულ-რომაულ მსოფლიოსთან. ელინურ კულტურას ქართველები ადრევე იყვნენ დაწაფებულნი, ვიდრე რომელიმე ერი დასავლეთ ევროპისა.

რომ ქართველები ბერძნულ კულტურას ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან ეზიარნენ, ამას მრავალი ბერძენი და რომაელი მწერალი აღნიშნავს. თემისტეს (384 ქრ. წ.) სიტყვებიდან ჩანს, რომ ელინური სწავლავანთლებისათვის ნიადაგი აღმოჩენილია კოლხეთში და ქვეყანა ელინური კულტურისა და „მუხათა სადგურად“ უქცევია. ასე რომ, იმ დროს კოლხებს ელინთა სადღესასწაულო ყრილობებზედაც კი უსახელებიათ

თავი რიტორიკითა და მჭერმეტყველებით.

ქსენოფონტე (434-355 ქ. წ.) გააკვირვებამია კოლხთა მეურნეობით; ის ამბობს, რომ „ქართველ ტომებს, კოლხებს, რომლებიც სცხოვრობდნენ პონტოსის ზღვის ნაპირზე, ჰყავდათ აუარებელი ფუტკარი. ბერძნებს კოლხეთიდან გაჰქონდათ თაფლი, სანთელი, ტყავი და სხვა“¹.

რომაულ-ელინურ გავლენას ადასტურებს აგრეთვე თეატრის არსებობა (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, „გეორგიკა“, გვ. 59-94-95).

„საქართველოში ანტიკურ ეპოქაში თეატრის არსებობის შესახებ ცნობებს იძლევა პროკოფი კესარიელი. მისი სიტყვით, ქალაქ ანსარეში (კოლხიდაში) იყო ანტიკური თეატრი და იპოდრომი“².

სტრაბონი (პირველი საუკუნე ქ. წ.) აღნიშნავს იბერიელთა სახელმწიფოს მდიდარ კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებას.

ქართველთა ოსტატობის შესახებ გერმანელი მკვლევარი პაულ როპრახი წერს: ქალდეები იყვნენ მაღლად კულტურულნი, იყვნენ კარგი ოსტატები ციხეთა აგებაში, საბინაო გამოქვაბულთა შენებაში და კლდეში გამოჭრილ მოსარწყავ წყალსადენთა მოწყობაში“³.

ამგვარად, ქრისტიანობას საქართველოში დახვდა არა ტყე-ღრეში უგზო-უკვლოდ მოხეტიალე ხალხთა ბრბო, არამედ კულტურული, ელინურ კულტურას დაწაფებული, სახელმწიფოებრივი ტრადიციის მატარებელი, საკუთარი ეროვნული შეგნების მქონე ქართველთა ერი.

ქართული ანბანი და მწერლობა წარმოიშვა ჯერ კიდევ ქრისტიანობის გავრცელებამდე.

ნამდვილი აღორძინება ქართული დამწერლობისა და საერთოდ, ქართული ეროვნული კულტურისა, იწყება ქრისტიანობის გავრცელების დროიდან. ქართული ეკლესია და ქართველი სამღვდელოება უდგია

1. ივ. ჯავახიშვილი, „გოსუდარსტვენნი სტროი დრევენეი გრუზიი ი დრევენეი არმენიი,“ ს. პეტერბურგ, 1905, I, გვ. 43.

2. ამოღებულია ა. ამირანაშვილის წიგნიდან: „ისტორია გრუზინსკოგო ისკუსსტვა,“ მოსკოვი, 1950, გვ. 84 (რუსულ ენაზე).

3. „ქართველი ერი“ 12 – 13, ბერლინი, 1944, გვ. 28 და 33.

სათავეში მთელს ამ კულტურულ ცხოვრებას.

მეოთხე-მეხუთე საუკუნიდან ქართულ ენაზე ითარგმნება ბიბლია; წარმოიშვა ორიგინალური ნაწარმოებნი. პირველ ძეგლს ორიგინალურ მწერლობისას წარმოადგენს „წამებაი წმიდისაი შუშანიკისა“. მისი ავტორი არის იაკობ ხუცესი, მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრის მწერალი. ეს ნაწარმოები იძლევა საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების სურათს სპარსელების ბატონობის ხანისას.

მექექსე საუკუნის პირველ მეოთხედში იქმნება უცნობი ავტორის მიერ „წამებაი ესტატე მცხეთელისა“; მერვე საუკუნეში ქართულ სასულიერო მწერლობას ამშვენებს იოანე საბანისძის ნაწარმოები „წამებაი აბო ტფილელისა“; მერვე-მეცხრე საუკუნეში ძეგლთა დამამშვენებელია უცნობი ავტორის ნაწარმოები „ცხოვრება ნინო კაბადოკიელისა“.

ქართული ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს გიორგი მერჩულეს ნაწარმოები „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, სადაც იშვიათი ქართული ენით აღწერილია ტაო-კლარჯეთის კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრება; აქედან, ე. ი. ტაო-კლარჯეთის პატარა დაბიდან, არტანუჯიდან გამოჰკრთა შუქურ-ვარსკვლავი ქართველი ბაგრატიონებისა. ეს დაბა გახდა ეროვნულ-გამაერთიანებელი ძალების ბუდედ, ამ დაბიდან წარმოიშვა იდეა ქართული სახელმწიფოს ერთობისა.

ეს ნაწარმოები მიეკუთვნება მეცხრე საუკუნეს, და გიორგი მერჩულე არის წარმომადგენელი ქართული საერო მწერლობისა, რომელიც იწყებს ჩასახვას მეათე საუკუნეში.

მეათე საუკუნეშივე საქართველოში თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს საეკლესიო-სასულიერო პოეზია, ანუ ჰიმნოგრაფია. ამ დარგში აუარებელი მასალებია თავმოყრილი, მაგრამ ერთ-ერთი პროფესიული-ჰიმნოგრაფი იყო გრიგოლ ხანძთელი (759-861); ამას თან მოსდევს იოანე მტბევარი, მიქაელ მოდრეკილი.

ჩვენი სახელოვანი მეცნიერის, პავლე ინგოროყვას, გამოკვლევით: „ქართული მუსი-

კის ძეგლთა შემცველი უძველესი ქართული ხელნაწერები, რომლებიც ჩვენს დრომდე მოღწეულა, ეკუთვნის მეათე საუკუნეს. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია მიქაელ მოდრეკილის განთქმული დიდი კრებული, საგალობელთა წიგნი, რომელიც გადაწერილია 978 – 988 წლებს შორის⁴.

ქართველი ჰიმნოგრაფების დიდი დამსახურება ის არის, რომ ხალხურ-პოეტური შემოქმედების ფართე გამოყენებით, მათ დიდი გავლენა მოახდინეს ქართული პოეტური კულტურის განვითარებაზე.

სამღვდელოება დიდ კულტურულ მუშაობას ეწევა როგორც ქვეყნის შიგნით, ასე გარეთაც. ცნობილია, რომ მეოთხე-მეექვსე საუკუნეში, კოლხეთში არსებობდა ფილოსოფიურ-რიტორიკული აკადემია, სადაც, ქართველებთან ერთად, განათლებას იღებდნენ უცხოელებიც.

მეხუთე საუკუნეში საქართველოში უკვე ჩამოყალიბდა საკუთარი ეროვნული ეკლესია საკუთარი მართვა-გამგეობით: იგი დამოუკიდებელ ორგანიზმს წარმოადგენს.

მეხუთე საუკუნიდან საქართველოს (ივერიის) ეკლესიამ გასწვიტა დამოკიდებულება აღმოსავლეთ (ანტიოქიის) ეკლესიასთან და სავსებით გადაება საბერძნეთს, მაგრამ ის არის ავტოკეფალური ეკლესია.

ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა მოხდა ვახტანგ პირველის დროს. მან ანტიოქიის პატრიარქთან მიაღწია მას, რათა საქართველოში უმაღლესი სამღვდელო პირები დანიშნულნი ყოფილიყვნენ მკვიდრი ქართველებისაგან.

ქართველი ხუროთმოძღვრები გასაოცარი ოსტატობით აგებენ საქართველოში ეკლესია-მონასტრებს; ისინი ბრძაღ კი არ ჰბაძავენ ბერძნებს, არამედ ჰქმნიან საკუთარს, ნამდვილ ხუროთმოძღვრებას.

ქართულ ეროვნულ ხუროთმოძღვრების იშვიათ ნიმუშს წარმოადგენენ შემდეგი ძეგლები: მცხეთის სვეტიცხოველი, გელათი, ქუთაისის ბაგრატის ტაძარი, კახეთის ალავერდი, ტაო-კლარჯეთის ბანა და ოშკი, საფარა თავისი თორმეტი ეკლესიით, ტფილისის სიონი, ზარზმა, აწყური, ქვაბთახევი, ქვაშვეთი, მარტვილი, რუის-ურბნისი,

4. ლიტერატურული გაზეთი, ტფილისი, 1 დეკემბერი, 1956.

შიო მღვიმელი, დავით გარეჯელის მონასტერი, ხობის მონასტერი, ანჩისხატის ეკლესია, უფლისციხე-მღვიმე, მოწამეთა, ჯვარის ეკლესია, ვარძია; ეს უკანასკნელი წარმოადგენს ქვაბთა ანსამბლს, სათავედაცვო ნაგებობით.

ვარძია ეს არის მღვიმე-მონასტერი, მთელი ქალაქი მრავალ სართულებით; შუა მოედანზე მოწყობილი იყო წყალსაცავი. ეს მონასტერი გამოკვეთილი იქნა კლდეზე დიდი თამარის ბრძანებით. ეკლესიის კედლებზე შემონახულია ფრესკები, სადაც მოხატულია თამარ მეფე.

უნდა აღინიშნოს ტფილისის დიდუბის ეკლესია, აშენებული მეშვიდე საუკუნეში. ეს ადგილი თამარ მეფის საყვარელ ადგილად იყო მიჩნეული. მან აქ იქორწინა, და აქვე ხდებოდა ქართული ლაშქრის აღლუმი და სალაშქრო დალოცვა.

გასაოცარ ქართულ ისტორიულ ძეგლთა შორის შთამაგონებელი ადგილი უკავია თბილისში მთაწმინდას ანუ მამა დავითს.

„საშუალო საუკუნეებში მონასტრები, როგორც ჩვენში, ისე სხვა ქვეყნებში კულტურულ-ლიტერატურული შემოქმედების ცენტრებს წარმოადგენდა“⁵.

უთვალავია ის გასაოცარი და თვალწარმტაცი ნაგებობანი, რაც შეუქმნია ქართულ გენიას.

ქართველ ხუროთმოძღვრებს მონასტრები უშენებიათ საზღვარგარეთაც. მაგალითად, ცნობილია, რომ „ობეზიდან მოსული ოსტატები ღებულობდნენ მონაწილეობას კიევი-პეჩერის მონასტრის აგებაში. ზოგიერთი რუსული ეკლესიების ნაგებობებში მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნისა საფუძვლიანად შეიცნობა კავშირი ბრწყინვალე ქართულ არქიტექტურასთან“⁶.

ეს ობეზი იყო დასავლეთ საქართველო. მაშინ, ანუ „მერვე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული, მერვე-მეათე საუკუნეთა მანძილზე, დასავლეთ საქართველოს, ცნობილია, ეწოდება „აფხაზეთი“. ასე ეწოდება დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, გიორგი მერჩულეს ძეგლშიაც“⁷.

5. „მეცნიერება და ტექნიკა“, ტფილისი, 1956, №7, გვ. 47.

6. „ისტორია ნაროდოვ სსსრ“, მოსკოვი, 1948, გვ. 35-36.

7. პავლე ინგოროვია, „გიორგი მერჩულე“, 1954, გვ. 114.

ქართულ კულტურას ორი თითქმის თანაბარი ცენტრი ჰქონდა: ერთი – საქართველოში, მეორე – საზღვარგარეთ, – საბერძნეთში, პალესტინაში, სირიაში, იერუსალიმსა და ბუღარეთში. აქაც უშენებიათ ჩვენს წინაპრებს თავიანთი ჯადოსნური ხელით, მართლაც, ხელთუქმნელი ძეგლები.

ამ ძეგლთა შორის მინდა ჩამოვთვალო: გოლგოთა, სადაც ჯვარს აცვეს ქრისტე. ეს ადგილი უშოვნია ბაგრატ მეფეს აღექსანდრეს ძმისწულს, დიდი ფასით არაბებისაგან.

იაკობ აღფესის მონასტერი აშენებული არის ბაგრატ მეფის კუროპალატისაგან; ღვთისმეტყველის იოანეს მონასტერი – ათაბაგსა და საათაბაგოელთაგან; წმიდა გიორგის მონასტერი ურიათუბანში – დადიანთაგან.

შეიქმნა ქრისტიანული მწერლობა, გაჩაღდა ეკლესია-მონასტრებთან დიდი კულტურული მუშაობა. ქართველი ბერები დღე და ღამეს ასწორებდნენ – სთარგმნიდნენ წიგნებს ბერძნულიდან, სომხურიდან, არაბულიდან და სხვა.

შეიქმნა ისეთი დარგები როგორიცაა: ჰომილეტიკა, აგიოგრაფიული მწერლობა, რაც წარმოადგენს ორიგინალურ მწერლობის სათავეს და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კულტურული ცენტრები საქართველოს ჰქონდა აგრეთვე გარეთ; ამ უცხოეთის მონასტრებში მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული სასულიერო პირები, რომლებსაც თავიანთი დაუშრეტელი წვლილი შეჰქონდათ ერის პოლიტიკურ თუ სამხედრო ძლიერებასა და ცხოვრებაში⁸.

აი, მთელი პლეადა ამ მოღვაწეთა: არსენ იყალთოელი, რომელიც სათავეში უდგია ქართულ უმაღლეს აკადემიას. მან შეჰქმნა ქართულ ენაზე „დოგმატიკონი“, რომელიც შეიცავს საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ და მორალურ-ეთიკურ საფუძვლებს.

იოანე პეტრიწონელი (გარდაიცვალა დაახლოებით 1125 წ.) უდიდესი ფილოსოფიური მოაზროვნე, ქართული ფილოსოფიური აზროვნების ფუძემდებელი, რომელმაც

ღრმა კვალი დასტოვა ბერძნულ ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიაში. თავის ცხოვრების უკანასკნელ წლებში მოღვაწეობდა გელათის აკადემიაში, რომელიც დაარსებული იყო დავით მეფე აღმაშენებლის მიერ.

ქართველმა მოღვაწეებმა, იოანე პეტრიწონელის სახით, ბიზანტიის ფილოსოფიური აზროვნების აღორძინებაში მეთერთმეტე – მეთორმეტე საუკუნეში დიდი როლი ითამაშა.

ეფრემ მცირე (გარდაიცვალა 1103 წ.) – ისტორიკოსი, ფილოლოგი, მწერალი, ფილოსოფოსი. იგი არის აგრეთვე განსაცვიფრებელი მთარგმნელი ბერძნული ფილოსოფიური აზროვნებისა ქართულ ენაზე. შემდეგ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, თორნიკე ერისთავი, ბერი და მხედარი, რომელმაც იხსნა ბიზანტიის იმპერია დაღუპვისაგან, და სხვ.

მთელი ქართული აზროვნების გვირგვინი არის პოეტი და მოაზროვნე შოთა რუსთაველი, რომელიც ჩაუქრობელი ღამპარივით დგას ერის გონების მწვერვალზე. შოთას პოეზია არის მემკვიდრე იმ გონებრივი საღაროსი, რაც შეუქმნიათ ჩვენს უკვდავ წინაპრებს საუკუნეთა მანძილზე.

ქართული ეროვნულ-ქრისტიანული კულტურის ძეგლს წარმოადგენს აგრეთვე ჩვენი დედაქალაქი ტფილისი, ფუძედებული ვახტანგ გორგასლანის მიერ.

რასაკვირველია, ამით ჩვენ არ გვინდა დაწვრილოთ ქალაქი მცხეთა, იბერთა დედაქალაქი, რომელსაც ქართველი ერის ისტორიაში განსაკუთრებული როლის შესრულება ხვდა წილად. მრავალი საუკუნის წინ ის წარმოადგენდა იბერიის, ქართლის სამეფოს, პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრს ანუ სამეფო ქალაქს, როგორც მას ქართული წყაროები უწოდებენ. მცხეთა იყო ერთ-ერთი კერა, სადაც ქართულ სახელმწიფოებრიობას ჩაეყარა საფუძველი⁹.

ქრისტიანობა კოსმოპოლიტური მოძღვრებიდან ეროვნულ სარწმუნოებად გადაიქცა საქართველოში. ქრისტიანობისა და ეროვნების გაიგივება არსად არ მომხდარა, გარდა საქართველოსა. ამ ეროვნული შეგნების ანარეკლი იყო დავითისა და

8. პროფ. მიხ. წერეთელი, სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ (გერმანულ ენაზე), გვ. 8, გამოცემა არჩილ მეტრეველისა, ბერლინი, 1933.

9. „მნათობი“, № 10, ტფილისი, 1956, გვ. 187.

დიდი თამარის ეპოქის კლასიკური საქართველო, შექმნილი ბაგრატიონთა ჯადოსნური ხელით, და თუ საქართველო, გარეშე ძალების მეოხებით, მრავალჯერ ყოფილა პოლიტიკურად დანაწილებული სამეფოებად და სამთავროებად, მასში ერთხელაც არ ჩამქრალა იდეა ეროვნული შეგნებისა: შეგნება იმისა, რომ თვითეული ნაწილი საქართველოსი არის მთლიანი ქართული ეროვნული ორგანიზმისა.

ქართველი ერის ჩამოყალიბებას საფუძვე-



წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული და მოციქულთასწორი, ქართველთა მანათლებელი წმიდა ნინო

ლად დაედგა ეროვნული შეგნება, რომელიც დუღაბად აქცია ქრისტიანული სულით შექმნილმა ქართულმა ეკლესიამ, იმ ქართულმა ეკლესიამ, რომელიც საქართველოს პოლიტიკურად დაქუცმაცების პერიოდშიც კი ერის გამაერთიანებელ ძალად ევლინებოდა ხოლმე ქართველ ერს. მიუხედავად საქართველოს ბევრჯერ დაქუცმაცებისა, ქართველ ადამიანს გულსა და სულში უტარებია საუკუნეთა მანძილზე ის შეგნება, ის იდეა, რომ იგი, უწინარეს ყოვლისა, ქართველია.

თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ ქართული

ეკლესია სათავეში ედგა ერის მთლიანობას; იგი იყო ქართული ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის მებრძოლი და მისთვის ისტორიული საფუძვლის მიმცემი:

„უფალმან მოგცათ თქვენ უფლება განგებად მთლიანად ქვეყნისა და სამართლით მართვისაო“ – ეუბნებოდა ივერიის ეკლესია ქართველ მეფეთა და მთავართ“ (იხ. „ქართლის ცხოვრება“ გვ. 211).

საქართველო მსოფლიო ასპარეზზე უკვე გამოდის საკუთარი პოლიტიკით. დავითისა და თამარის მიერ შექმნილი ქართულ-კავკასიური იმპერია უკვე აღმოსავლეთ ევროპის მიჯნაზე დიდ პოლიტიკურ და კულტურულ ფაქტორად იქცა და „თამარის დროს საქართველოს აქვს პრეტენზია იყოს მეტაური აღმოსავლეთის ქრისტიანული მსოფლიოსი და შესცვალოს ამ მხრივ ბიზანტიის (აღმოს. რომის) ამ დროს უკვე დაკნინებული იმპერია“ (იხ. პავლე ინგოროყვას წერილი: „თამარ მეფის იამბიკონი“, მნათობი“ 1941, №3, გვ. 130-131, ტფილისი. ამოღებულია მისივე წიგნიდან „გიორგი მერჩულე“, გვ. 283).

მაშასადამე, ქრისტიანობა როდი ნიშნავდა მარტო სარწმუნოებას ჩვენში, არამედ ქრისტიანობა-მართლმადიდებლობა ამავე დროს ნიშნავდა ეროვნობას. ქართველი ერის მიერ ქრისტეს სარწმუნოების შენახვა იყო ამავე დროს დაცვა თავისი ეროვნული მეობისა.

აი, რასა სწერდა ამის შესახებ ჩვენი ეროვნული მეობის ბურჯი, დიდი ილია ჭავჭავაძე, რომელიც ორმოცდაათი წელიწადი ზრდიდა ქართველ ერს:

„რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა – რჯულის დაცვად... ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას“¹⁰.

ქართული ეკლესია აღვივებდა ქართველ ხალხში ეროვნულ ერთიანობას, ეროვნულ იდეას, ეროვნულ ერთიანობას კი ჰქმნის ეროვნული შეგნება.

„ქრისტიანობამ, შეგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი

10. ილია ჭავჭავაძე, მერვე ტომი, ტფილისი, 1928, გვ. 350.

ეროვნებაო¹¹, სწერდა ილია ჭავჭავაძე.

აბა, სინჯოს ვინმემ, – ამოდოს ქრისტიანობის დროს შექმნილი სულიერი დოვლათი საქართველოს ისტორიიდან, და დაგრჩებათ მხოლოდ აბსოლუტური სიცარიელე.

აი,რა მოგვცა ქართველობას ქრისტიანობამ; ამიტომ, იგი ძვირფასია ყველა ქართველისათვის,ვისაც აქვს სიამაყე იმისა,რომ იგი ეკუთვნის სახელოვან ქართველ ერს.

ამ უკვდავ მოძღვრებას დაგვაწავა ჩვენ ახალგაზრდა ქალწულმა კაბადოკიელმა, წმიდა ნინომ – ქართველთაგანმანათლებელმა, მოციქულთასწორმა.

„ამა ღვთაებურის მადლით მოსილმა მო-

ციქულმა დაგვაწავა დაუშრობელ წყაროს ღვთაებურის ჭეშმარიტებისას და მოგვივლინა იგი მოძღვრება, რომელმაც იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნება და ერთსაც და მეორესაც უპატრონა დღემდე... „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის! დიდება შენდა, დიდება!...“ (ილია ჭავჭავაძე)

„წმიდა ნინო ქართველთაგანმანათლებელი და ქრისტიანობის როლი საქართველოში“

მიუნხენი 1958 წ.

QARTULI ENA

ქართულ პოეზიასთან და აზროვნებასთან ერთად ქართული სულის მშვენებას და ამ სულის უკვდავებას ქართული ენა შეადგენს.

ერის ცხოვრებაში დედა-ენა – მშობლიური ენა უმთავრეს როლს თამაშობდა და თამაშობს ეროვნული შეგნებისა და მეობის შესანარჩუნებლად.

შორეული ისტორიული წარსულიდან, დღიდან ქართველი ტომების წარმოქმნისა, ქართული ენა იყო და არის შემაკავშირებელი ქართველი ერისა მრავალ საუკუნეთა მანძილზე.

მსოფლიოში მრავალი ერი არსებობდა, მაგრამ საბოლოოდ ვერ შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე და ასიმილირების გზას დაადგა. დედამიწის პირიდან გაჰქრნენ ოდესღაც ძლიერი ფინიკიელები; ოდესღაც ძლევამოსილი ბაბილონი დღეს სიძველეთა მუზეუმის სამკაულს თუ წარმოადგენს; მაგრამ უძველესი ერი ქართველთა საუკუნეების მანძილზე იბრძოდა და დღესაც იბრძვის ეროვნული მეობის შესანარჩუნებლად.

მრავალ ქარ-ცეცხლში გამოვლილმა

ქართველმა ერმა გაუძლო უთვალავ მტერთა შემოსევას, შაჰ-აბაზობას და არავის წინაშე ქედი არ მოუხრია მას. არაერთხელ უგრძნიათ ქართული მკლავის ძალა ლანგ-თემურის, შაჰ-აბაზის და ოსმალთა უამრავ ჯარებს, მაგრამ ქართველ ერს მაინც ვერ შემოხსნეს ხმალი წელიდან.

ბარაქიან ქართულ მიწაზე გადატყდა არაბ დამპყრობელთა ხმალი და აზიის თვალუწვდენი ველები მოწამენი არიან ხმალამოწვდილი პატარა კახის ვაჟკაციური ამბებისა.

„რა ცა არ დაგვტყდომია თავზე რისხვით,რა ცოდო-მადლი არ დატრიალებულა ჩვენს თავზე“: სპარსელ ყიზილბაშებმა ათასობით აჰყარეს ქართველები მშობლიური მიწიდან, წაბილწეს მამა-პაპათა საფლავები, წარყენეს ქართული ეკლესია – მაგრამ ვერ მოსპეს ქართული ენა,ჩვენი დედა-ენა, ჩვენი სიამაყე. სტამბოლის ბაზარზე იყიდებოდა ქართული საუკეთესო მოდგმა, და შორეულ ნილოსის ნაპირებზე მოისმოდა ქართული კვნესა, მაგრამ მაინც ვერ მოსპეს ქართული ენა.

არც სამოყვროდ მოწვეულმა ქრისტიანულმა რუსეთმა დაგვაკლო, საუბე-

11. იქვე გვ. 351.

დუროდ, და ქართული ენა, რომლითაც აუღერდა რუსთველის ქნარი, დიდი დავითისა და თამარის ენა, ქართული კულტურისა და ჰუმანიზმის „ოქროს ხანის“ ენა, აკრძალა სახელმწიფო დაწესებულებებსა, სკოლასა და ეკლესიაში.

ა	ჲ	ჳ	1	ს	ჲ	ს	200
ბ	ჳ	ჴ	2	ტ	ჴ	ჴ	300
გ	ჴ	ჴ	3	ჯ	ჴ	ჴ	
დ	ჴ	ჴ	4	უ	ჴ	ჴ	400
ე	ჴ	ჴ	5	ფ	ჴ	ჴ	500
ვ	ჴ	ჴ	6	ქ	ჴ	ჴ	600
ზ	ჴ	ჴ	7	ღ	ჴ	ჴ	700
წ	ჴ	ჴ	8	ყ	ჴ	ჴ	800
თ	ჴ	ჴ	9	შ	ჴ	ჴ	900
ი	ჴ	ჴ	10	ჩ	ჴ	ჴ	1000
კ	ჴ	ჴ	20	ც	ჴ	ჴ	2000
ლ	ჴ	ჴ	30	ძ	ჴ	ჴ	3000
მ	ჴ	ჴ	40	წ	ჴ	ჴ	4000
ნ	ჴ	ჴ	50	ჭ	ჴ	ჴ	5000
ო	ჴ	ჴ	60	ხ	ჴ	ჴ	6000
პ	ჴ	ჴ	70	ჯ	ჴ	ჴ	7000
ჟ	ჴ	ჴ	80	ჟ	ჴ	ჴ	8000
რ	ჴ	ჴ	90	ჟ	ჴ	ჴ	9000
	ჴ	ჴ	100	ჟ	ჴ	ჴ	10000

თვით ქართველი არისტოკრატიის ერთმა ნაწილმაც, საუბედუროდ, ზურგი შეაქცია მას. იგი შეითვისა და შეიყვარა ქართველმა გლეხობამ, რომელიც იყო და არის ჩვენი ეროვნული სულის მედროშე. ქართულ ენას ქომაგად და მფარველად მოეწოდებოდა დიდი ილია ჭავჭავაძე, რომელმაც ომახიანად დაიბრუნა: „ქართული ენა არის ჩვენი საყვარელი ენა, ის ენა, რომელზედაც დაიღვინა ჩვენმა უკუდავმა რუსთაველმა, ის ენა, რომელზედაც დაიღვლინა თავისი ღვთიური სიმღერები ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ის ენა, რომელზედაც ბარათაშვილმა ჰარმონიულად და ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის ბედი“.

ქართული ენის დამამშვენებელია მე-5

საუკუნის ქმნილება იაკობ ცურტაველისა „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისა“. ეს ნაწარმოები ნათელჰყოფს იმას, რომ არამც თუ მაშინ, არამედ ქრისტიანობის გავრცელებამდე, საქართველოში არსებობდა დიდი ლიტერატურული ტრადიცია, რომლის ძირები წარმართული ხანიდან მომდინარეობს, თორემ ცურტაველის ნაწარმოები პირველი საწყისი რომ ყოფილიყო ჩვენი მწერლობისა, იგი ასე გამართული მხატვრულად არ იქნებოდა.

მე-10 საუკუნის მწერალმა იოანე ზოსიმემ ქართული ენა ყველა კულტურულ ენებზე მაღლა დააყენა, თავის შესანიშნავ თხზულებაში „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“. იგი ბერძნული ენის თანატოლად აღიარებს ქართულ ენას; კიდევ მეტი: მეორედ მოსვლის დროს ქრისტე ღმერთი ქართულ ენაზე განიკითხავს მსოფლიოს.

ქართულ ენაზე შეჰქმნა იოანე საბანისძემ „წმიდა აბოს წამება“, რომელიც დაწერილია მაღალი ლიტერატურული სტილით.

ამ ენაზე იქმნებოდა გიორგი მერჩულეს მიერ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, სადაც იშვიათი ქართული ენით აღწერილია ტაო-კლარჯეთის კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრება და საიდანაც, ანუ ტაო-კლარჯეთის პატარა დაბიდან, არტანუჯიდან, გამოჰკრთა შუქურ-ვარსკვლავი ქართველი ბაგრატიონებისა. ეს დაბა გახდა ეროვნულ-გამაერთიანებელი ძალების ბუდე; ამ დაბიდან წამოვიდა იდეა ქართული სახელმწიფო ერთიანობისა. სწორედ ამ ნაწარმოებშია საქართველოს მთლიანობის იდეა, პირველად გამოთქმული: „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა „უამი შეიწირვის და ღოცვაჲ ყოველი აღესრულების“ – ამბობს გიორგი მერჩულე.

ქართულ ენაზე აზროვნებდა ეფრემ მცირე: ისტორიკოსი, ფილოლოგი, მწერალი, ფილოსოფოსი. იგია განსაცვიფრე-

ბელი მთარგმნელი ბერძნული ფილოსოფიური აზროვნებისა, ქართულ ენაზე. ეფრემ მცირემ ქართულ ენაზე სისტემაში მოიყვანა მასალები, ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებიდან, ქრისტიანობის გავრცელებაზე საქართველოში, რომელიც საფუძვლად იდებს ქართველთა გაქრისტიანებას წმიდა ნინოს მიერ. იგივე ეფრემ მცირე ქართული ენით ასაბუთებს ქართული ეკლესიის სამოციქულო წარმოშობას, და ამით საფუძველს უქმნის ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას.

როცა ქართული სულის შესახებ ვხედავთ, ვწერთ, არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ისეთ დიდს ეროვნულ მნიშვნელობის ფაქტორს, როგორიცაა ჩვენი სახელოვანი ეკლესია – საქართველოს ეკლესია, ივერიის ეკლესია, და – ქართველ სახელოვან სამღვდელოებას, რომელიც სათავეში ედგა მთელს ეროვნულ კულტურულ ცხოვრებას. შეიქმნა ქრისტიანული – ეროვნული მწერლობა. გაჩაღდა ეკლესია-მონასტრებთან დიდი კულტურული მუშაობა. ქართველი ბერები დღე და ღამეს ასწორებდნენ, ისხდნენ სარკმლის თუ ანთებულ სანთლის შუქთან და დიდი გულმოდგინებით, დაუღალავად სთარგმნიდნენ წიგნებს ბერძნულიდან, სირიულიდან და სხვა.

ამ კულტურულ ცენტრებთან, ეკლესია-მონასტრებთან, მოღვაწეობდა აგრეთვე მთელი პლეადა ქართველ ხეოთმოძღვართა, რომლებიც გასაოცარი ოსტატობით აგებენ საქართველოში და საზღვარგარეთ ეკლესია-მონასტრებს. მათი შეუდარებელი გონებისა და ოსტატობის ნიმუშია ისეთი ხელთუქმნელი ძეგლები, როგორიცაა: მცხეთის-ივერიის-ქართლის სამეფოს – სამეუფო ქალაქში აგებული სვეტიცხოველი, გელათი და გელათის აკადემია, ქუთაისის დიდი ბაგრატი მესამის ტაძარი, კახეთის ალავერდი, ტაო-კლარჯეთის ბანა და ოშკი, საფარის ზღაპრული ნაგებობანი, თავისი ათორმეტი ეკლესიით, ტფილისის სიონი, მესხეთის სიამაყე

– ზარზმა, აწყური, ქვაბთახევი, ქვაშვეთი, მარტვილი, ბედია, რუის-ურბნისი, შიომღვიმე, მამადავითი, დავით გარეჯის მონასტერი, ხობის მონასტერი, მოწამეთა, ჯვარის ეკლესია, ნიკორწმინდა, ვარძია და რამდენი ერთი ჩამოვთვალო, რაც უშენებია ქართულ გენიას.

იმ დროს, როცა უბედური ბედით საქართველო მრავალჯერ ყოფილა დანაწილებული, სამეფოებად და სამთავროებად, მასში ერთხელაც არ ჩამქრალა იდეა – ეროვნული შეგნებისა; შეგნება იმისა, რომ თვითოეული ნაწილი საქართველოსი არის ნაწილი მთლიანი ქართული ეროვნული სხეულისა. ამ შეგნების მატარებელი და სულის ჩამდგმელი იყო ჩვენი სახელოვანი ქართული ეკლესია...

დღეს, როცა ყოველი ქართველი ამაყობს თავისი კულტურით, როცა მას თამამად შეუძლია გვერდში ამოუდგეს რომელიმე დიდ კულტურულ ერს და სიამაყით შეუძლია გადაუშალოს მას ჩვენი ერის კულტურა, მწერლობა, პოეზია, ხელოვნება – ამის საგანძურები ჩვენს ისტორიულ წარსულში უნდა ვეძიოთ; ეს საგანძურებია ჩვენი ეკლესია-მონასტრები, რომელთა შუქზე ბრწყინავს დღესაც ჩვენი კულტურა და მწერლობა.

დავუბრუნდეთ ისევ ქართული სულის დედაბოძს – ქართულ ენას:

ქართულ ენაზე აზროვნებდა არსენ იყალთოელი, რომელიც სათავეში ედგა იყალთოს ქართულ აკადემიას. მან შეჰქმნა ქართულ ენაზე „დოგმატიკონი“, რომელიც შეიცავს საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ და მორალურ-ეთიკურ საფუძვლებს.

იოანე პეტრიწონელი – უდიდესი ფილოსოფიური მოაზროვნე, ქართული ფილოსოფიური აზროვნების ფუძემდებელი, რომელმაც ღრმა კვალი დასტოვა ბერძნულ ფილოსოფიურ აზროვნების განვითარების ისტორიაში.

ქართული პოეზიის მეორე დიდ შუქურ-ვარსკვლავს, აკაკის, სწამდა, რომ:

„ენაში არის ძალაც
საიდუმლო გონების!
ვინც დაჰკარგავს, გახდება
წერა სხვისი მონების!“

დიდი ქართველი პედაგოგი, კურთხეული ივერიის წიაღში ნაშობი, ქართველი ერის, მისი მოზარდი თაობისა და ქართული ენის – დედაენის დიდი მოამაგე იაკობ გოგებაშვილი, ასწავლიდა ჩვენს თაობებს: „დედაენას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში; ამასთან, დედაენა არის ძვირფასი საღარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა და ნამოქმედარისა“.

იაკობ გოგებაშვილისათვის დედაენა „ბურჯია ეროვნებისა“. ამ დიდი ქართველის ბრწყინვალე გაგებით, ერს თუ სურს არსებობა, იგი უნდა იცავდეს მშობლიურ ენას, ქართულ ენას: „თუ ერს სურს იარსებოს ქვეყანაზე, იგი თვალისწინივით უნდა იცავდეს ეროვნულს გონებას, გულსა და სულსა... იცავდეს, ანვითარებდეს და აღორძინებდეს თავის ქვეყნის ენასა, ეროვნულს განათლებასა, ეროვნულს ლიტერატურასა, თეატრსა, ეროვნულ კულტურასა და იღვწოდეს ყველა თავისი ეროვნულის უფლებების აღდგენისა და გაფართოებისათვის, რათა საპატიო ადგილი მოიპოვოს ერთა შორის და გახდეს თავისებური და მნიშვნელოვანი ნაწილი კაცობრიობისა“.

ქართულმა ძარღვმაგარმა ენამ შეგვინახა ჩვენ. ენა ჩვენი წინაპართა მიერ შემონახული ძვირფასი განძია; მის სიწმინდეს ჩვენი მამა-პაპა, როგორც სჯულს, ისე ინახავდა.

ქართულ ენას შესტროფოდა და
შეპტრფის მეგრელ-ლაზიც:

„ჩემი ენაც ქართულია,
ღვთის რჯულთანა შენაერთი,
მისთვის მიყვარს, მიყვარს, მიყვარს,
ისე მიყვარს, როგორც ღმერთი...“

მეგრელი ადამიანის თუ ლაზის ამ უაღრესად ნაციონალური გრძნობის აღიარების შემდეგ, რა სასაცილოა, ვიღაც არამკითხე მოამბეთა „თეორიები“, რომლებიც ცდილობდნენ მეგრელებისათვის, ქართველი ერის ამ უძველესი ტომისათვის დაევიწყებინათ მშობლიური ენა და შეექმნათ მათთვის „ეროვნული“ ანბანი, რუსული ანბანის საფუძველზე.

იმ წყვილიადით მოსილ დროსაც კი, როდესაც გარეშე მტრებისაგან დაფლეთილი საქართველო მრავალ სამეფოდ იყო დაყოფილი, აი იმ დროს ქართული ენა იყო ერთადერთი იარაღი, რომელიც აერთებდა და დუღაბად აქცევდა ერის დაფლეთილ სხეულს. ქართულ ენაზე მღეროდა თუშ-ფშავ-ხევსური მთის მწვერვალზე, ქართულად დასტიროდა ელისო შუბლაგანგმირულ საყვარელ მოხევეს.

**არ მომეკდარა ქართული სული; იგი
ცოცხლობს და მარად იცოცხლებს.**

უბედური ბედის მიერ სამშობლოდან მოწყვეტილებმა ყველაფერი დაკარგეთ: სამშობლო... „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურ-მუხტი...“ მოდუდუნე მტკვრის ნაპირი... აღარ გვესმის ქართველი გულგაღვლილი გლეხის ურმული, საკუთარ ურემზე, აღზევანს მავალი; მაგრამ სული ხომ შეგვრჩა, ქართული სული და მისი შვენება ქართული ენა, რომლითაც დიდმა ილიამ ხალხის გულში უკვდავად გამოაქანდაკა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“

„ქართული სული“
მიუნხენი 1961.

QARTULI SAMOSELI

უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ღოცვა-კურთხევით, ჯერ კიდევ 90-იან წლებში საპატრიარქოსთან შეიქმნა „ხალხური“ რეწვის განყოფილება.

უკანასკნელ ხანს ქართული ხალხური ქრისტიანობამდელი და ქრისტიანული კულტურისადმი ინტერესი გაძლიერდა. ამ კუთხით მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ქართული მითისა და ეთნოკულტურების მკვლევარი, ეროვნულ ტრადიციათა დაცვის ცენტრის დამფუძნებელი, პოეტი და დრამატურგი ბატონი



უწმიდესი და უნეტარესი ილია II
ხალხური რეწვის სახელოსნოში

კობა არაბული, რომელიც მეუღლესთან, ქართული ხელსაქმის ოსტატ, ელისო ფიცხელაურთან ერთად ადადგენს ქართულ, კერძოდ, ხევისურულ სამოსელს და მის სიმბოლიკას. ამ და სხვა საკითხებზე გავესაუბრეთ ბატონ კობას და მის მეუღლეს, ქალბატონ ელისოს, რომელიც საპატრიარქოს ხალხური რეწვის განყოფილების გამგეა.

– ბატონო კობა, თქვენი მრავალმხრივ საინტერესო მოღვაწეობიდან, გვსურს გამოვყოთ და გვესაუბროთ ქართულ სამოსელზე, კერძოდ ხევისურულ სამოსელზე,

მის ისტორიასა და მნიშვნელობაზე, მისი ქარგულობის სიმბოლიკაზე.

– ვიდრე უშუალოდ ამ თემას შევეხებოდეთ, ვიტყვი, რომ საქართველო დგას უძველეს ქრისტიანულ და ქრისტიანობამდელ კულტურების კერაზე. კულტურის მკვლევარები ხედავენ შრეებად დაღექილ ცოდნას, რომელიც ხალხის (ცოცხალი ერის) მეხსიერებას შემორჩა – ეს გახლავთ „ანდრეზული ცოდნა“ და ტრადიცია ანუ ერის თვითმყოფადობის მაუწყებელი სხივი, რომელიც მიგვიკვლევს გზას წარსულიდან მომავლისაკენ და გვამკვიდრებს ახალ დროში.

ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ ხალხური ხელოვნება თვისობრივად ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება ხალხური კულტურის ნაწილია, იგი საუკუნეთა მანძილზე იხვეწებოდა და დამოუკიდებელ ფორმებს იძენდა, ყალიბდებოდა თიხის, ქვის, ხის, რქის, ლითონის მხატვრული დამუშავების და ქსოვა-ქარგულობის დარგებად.

ქსოვილების მხატვრული და-

მუშავება, ფერი და ორნამენტი, ოდითგან დედათა ხელსაქმეს წარმოადგენდა.

ქსოვა-ქარგულობის სათავეებს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილი ბრინჯაოს ხანიდან ვარაუდობს, იმავეს ადასტურებენ დიდი ბერძენი ისტორიკოსები: ჰეროდოტე, ქსენოფონტე, სტრაბონი, და სწავლულთუ მოგზაურთა ცნობები (მარკო პოლო, შარდენი, გიულდენშტედტი, ზაქარია ყაზვინი).

ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტე (ძვ. წ. 485-424 წწ.) გვაუწყებს, რომ იმდროინდელი კავკასიის მთიელები ბრწყინვალედ ქსოვდნენ და ქარგავდნენ და

რომ ეს ქარგულობის ნახატები კი არ ხუნდება, არამედ შალთან ერთად ცვდებაო!

მკვლევარნი ვარაუდობენ, რომ ამ ტიპის სამოსელით შემოსილნი იყვნენ იბერიულ-კავკასიური ტომები, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს სამოსელი შემორჩა მხოლოდ ხევსურეთში. ამ სამოსელს მოაქვს შორეული წარსულიდან ინფორმაცია: შუმერული, ბაბილონური, ეგვიპტური, ხეთური კულტურებიდან. მასზე გამოსახული ორნამენტები, როგორც მეცნიერები ამბობენ, უძველესი ცივილიზაციის ანარეკლია. ორნამენტთა სისტემა ხევსურულ სამოსელზე ფართეა: შიბა, ცერცვაი, დაკავკაული, აკუშურა, კვერა, პეპელა, მზავრა, კბილა, რქამოსრილი, თავნახარა, უნაგირა, კიმხა, კეხა, კვერაი, მარტუდელა, დაკაულა, ხატულა, ყელგრძელა, ყურისთვალა, ღიშაბახურა, ქისტურა, თავგრაგნილი ხატი... – ეს ყოველივე მიგვანიშნებს ამ ორნამენტთა კოსმოგონურ წარმომავლობაზე, რომლებიც ასახავენ და შეიცავენ მნათობთა ქარიზმულ ნიშნებს, რაც განფენილია ქალისა და მამაკაცის ტალღვარზე – ქალის ფარავსა (გულმკერდს ფარავს და საგულეს დანიშნულებას ასრულებს) და მამაკაცის საბეჭურს იცავენ მზის, ჯვრისა და ვარსკვლავთა სიმბოლოები. მათ ჰქონდათ მაგიურ-აპოთროპეული მნიშვნელობა. ხევსურული სამოსელის აჭრილობის ფორმა – მოდელი ჰგავს ბაბილონურ ჩაცმულობას. ქალის ფარავი, კალთა და ქოქომონი ნაქარგია შიბით. იგი ქარგულობის უძველესი ფორმაა და აღდგენილია „ხევსურული ტალღვარის სახელოსნოში“ ქალბატონ ელისო არაბულის მიერ.

ქალის ფარავის აჭრილობა მეტად საგულისხმო მნიშვნელობის ეთნოგრაფიული დეტალია. ხევსურ ქალს, ფარავიდან ამოჰყავდა პირდაპირ მკერდთან ახალშობილი ჩვილი, რათა დაფარულიყო ავი თვალისაგან. მკვლევართა მიერ იგი ითვლება ბავშვის დაცვისა და მოვლის წესად.

ქალის მორთულობა-ადკაზმულობას შეადგენდა: სადიაცო, ქათიბი, ქოქლო, ფაფანაგი. მანდილ-სათაურა, თავსამკაული, შემკულია მძივებითა და ძვლის ღილებით და ქარიზმატულად, დამცავი გვირგვინ-



ბატონი კობა არაბული და ქალბატონი ელისო ფიცხელაური

ის ფუნქციას ასრულებს. ქალებს ფეხთემოსათ შიბით ნაქარგი ჭრელა, ამოკერებული თათები და პაჭიჭები, ქალამნები, ხოლო მამაკაცებს – ბანდულები.

ხევსური მამაკაცის სამოსელი მთლი-



ელისო ფიცხელაური მოსწავლეებთან ანად მხედრულია: მოკლე, გვერდშეჭრილი და იდლიებში შეხსნილი პერანგი, რომელიც ხელს არ უშლიდა ცხენზე შეჯდომასა და იარაღის ხმარებაში. პაჭიჭი და საწვივე ნაქარგები ვერცხლით შემ-

კული იყო; პაჭიჭზე გადაშვებული სწორი აჭრილობის ტილოს შალვარი, ბოლოზე ჯვრით ნაქარგი ორნამენტებით იყო დაფარული. მამაკაცის ჩაცმულობის მნიშვნელოვან ატრიბუტებს ჩოხა და ქუდიც შეადგენდა. წელში შენოჭებული ჩოხა განსხვავებული და ლამაზად შემკულია. მას წმინდა ეროვნული სახე აქვს და არ ჩამოჰგავს ჩრდილო-კავკასიურ მოდელს. სამოსელი მთლიანად დაფარულია ჯვრებითა და მნათობთა სიმბოლური ნიშნებით. ჩოხას ზურგზე ფაფანავის ტიპის აზლოტები (ნაკეცები) დაჰყვება.



– თქვენს მიერ გამოცემულ ჟურნალ „მითი და ტრადიციაში“ უძველეს კულტურებთან ხევესურული ორნამენტისა და იეროგლიფური ნიშნების შედარებითი პარალელებია წარმოდგენილი. რას ეფუძნება იგი?

– შედარებისას ჩნდება აზრი, რომ იეროგლიფური ნიშნები, ორნამენტთა გრაფი-

კული სისტემები, რომლებიც განფენილია ხევესურთა სამოსელზე, საყოფაცხოვრებო და სარიტუალო ნივთებზე, იყო უძველესი ანბანი და შემდეგ იქცა ორნამენტად. ფხოველებს თანდათან დაავიწყდათ მისი წაკითხვა და შემორჩა როგორც დამცავი, სიმბოლოების მაგიური სისტემა და მათ შესახებ ანდრეხული ცოდნა. ორნამენტ-

თა სისტემა მშრალი არ არის. მათ მოაქვთ უცნობი ინფორმაცია შორეულ საუკუნეთა წიაღიდან ჩვენს დრომდე. აქ ყოველი ორნამენტი გასაშიფრია:

– სოღარული წრეები საღიაცოს კალთებზე (ქოქომოზე)...

– კოსმიური სხივები (ტაღლები) ქალის ფაფანავაზე...

– დამცავი ჯვრები გულთან – ფარავზე და ბეჭთან – ხერხემაღზე...

– ჯვრისა და მნათობთა ქარიზმული ნიშნები, სიკვდილ-სიცოცხლის უცნაური ხაზები, საწვივეებსა და ლეკვერთხებზე...

ორნამენტთა ეს სისტემა განფენილია ისტორიის ჩაკეტილ სივრცეში და არსებობს, როგორც მუდმივი (პერმანენტული) მთლიანობა. იგი მიაწვდის რომელიღაც უცნობ დროზე და მოვლენაზე; ყოველივე

ეს წარმოადგენს საკრალური ცოდნის ნაწილს.

– ქალბატონო ელისო, თქვენ საპატრიარქოს ხალხური რეწვის განყოფილებას ხელმძღვანელობთ 90-იანი წლებიდან. რას მოგვითხრობთ თქვენს საქმიანობაზე, როგორ იქმნებოდა და იქმნება ქართული სამოსელი, სახელდობრ, ხევესურული სამოსელი?

– თავდაპირველად დიდ მადლობას ვუძღვნით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომელმაც ფასდაუდებელი დეაწლი დასდო ტრადიციულ ხელსაქმეს და საფუძველი ჩაუყარა მის აღორძინებას. ჩვენს განყოფილებაში წინაპართა ტრადიციული საქმე გაგრძელდა და ამ საქმიანობამ კარგი შედეგი გამოიღო. აქ მზადდება ხელსაქმის საუკეთესო ნიმუშები, შერწყმული თანამედროვე გემოვნებასთან, რომლებიც არა მარტო ჩვენში, საზღვარგარეთაც იმსახურებენ მოწონებას.

ეთნოგრაფი გიორგი ჯაღაბაძე გადმოგვცემს: „საქართველოს მთის მოსახლეობის ჩაცმულობიდან ორიგინალურობით, ყველაზე მეტად ხევესურული ტანსაცმელი გამოირჩევა. ჩაცმულობის ამ კომპლექსს კავკასიის მასშტაბით, ანალოგი არ მოეძებნება... ხევესური ქალის ჩაცმულობის შესწავლამ გამოავლინა, რომ მსგავსი აჭრილობის ტანსაცმელი უნდა ეტარებინათ მეზობელ ფშაველ და თუშ ქალებს, ხოლო უძველეს ხანაში ხმარებაში უნდა ყოფილიყო ბარის რეგიონებშიც – ხევესურული სამოსის სახით ჩვენ ისტორიული ხანის ჩაცმულობის იშვიათი კომპლექსი შემოგვრჩა“.

ხალხური ხელსაქმე ტრადიციულ ოჯახებს წესად მოსდევდა და გადმოცემოდა თაობიდან თაობაზე: მატყლის დამუშავება ყველა სეზონზე, ჩეჩვა-რთვა, ქსოვა, კერვა, და ბოლოს – ქარგვა. საქართველოში, უძველესი დროიდანვე იქსოვებოდა ბუნებრივი მატყლის ძაფისაგან შალი, ხალიჩები, ფარდაგები, ყაჯარ-ჯეჯიშები... ქსოვდნენ აბრეშუმის და ბამბის ძაფის-

აგანაც. სელის ძაფი და ქსოვილი რომ იყო გავრცელებული, ამაზე ქსენოფონტეც გადმოგვცემს, ხალიჩები იყენებდნენ სელისგან დაწნულ ჯავშანსო.

ტანსამოსელი დახვეწილი და წვრილი ძაფისაგან იქსოვებოდა. უხეში ძაფები სხვადასხვა დანიშნულების ქსოვილებითათვის გამოიყენებოდა.

ხევესურები ფლობენ ძაფის ღებვის ხელოვნებას, ე. წ. მზეზე ღებვის, ტუტანის (წყალში გაზავებული ნაცარი) მომზადებასა და მის გამოყენებას. შენარჩუნებულია საღებავის დაყენების წესი, რითაც მცენარეებისაგან ბუნებრივი ფერები მიიღება: მწვანე (სისვი), ლურჯი (ცისფერი), წითელი (ღვიძლისფერი), ყვითელი, შავი, მოწითალო, მოშაო-ლეგა, ნაცრისფერი, მოთეთრო-ლეგა, ბორღო და სხვა.

ფერის მიღება ერთია, ფერთა შერწყმა მეორე. არის ფერები, რომლებიც ერთმანეთს ვერ გუობენ (წითელი, ყვითელი, თეთრი...), მაგრამ ზოგს შესწევს უნარი მათი მოთვინიერებისა.

საერთოდ, ტანსაცმელს კერავდნენ ლურჯი ფერისას, როგორც კაცებისას, ასევე ქალებისას და შემდეგ სხვადასხვა ფერებით ქარგავდნენ ისტორიული ორნამენტებით.

ნაქარგობა ორგვარი ტექნიკით სრულდება: ჯვარულითა და შიბით. შიბა სამნაირი სახის იყო გასაწყობად: ორმაგი შიბა, ბრტყელი შიბა, ტომრის შიბა.

თითქმის ყველა ოჯახში იყო ქსოვისა და ქარგვის ტრადიცია. ქალიშვილები ბებიებისა და დედებისგან სწავლობდნენ და ეუფლებოდნენ ყველანაირ ხელსაქმეს, მაგრამ გამორჩეული მქარგველებიც იყვნენ, სამოსლის შემქმნელი ოსტატები. საბედნიეროდ, ამ ცოდნის გაზიარება და შესწავლა კი არ შეჩერებულა, არამედ გაგრძელდა და გაფართოვდა.

– თქვენ აღნიშნავთ, რომ ისტორიული მისიის მქონე ერი ტრადიციათა ცოდნის საგნებმა უნდა დაიცვან გლობალური ცივილიზაციის ინტეგრაციისაგან. რამ-

დენად იზიდავს დღევანდელ ქართველს ტრადიციული ხელსაქმის შესწავლა?

–ყოველწლიურად 200-300 გოგონას და არა მარტო ახალგაზრდებს, უფროს თაობასაც საპატრიარქოს ხალხური რეწვის განყოფილებაში თეორიულ-პრაქტიკული გამოცდილება გადაეცემა, ხევისურული ქსოვისა და ქარგვის ხელოვნებაში. ბევრმა მოწაფემ უკვე დამოუკიდებლად შექმნა ოჯახური სახელოსნო, რაც დღეისათვის მათი ოჯახებისთვის საარსებო წყაროდ იქცა. ჩვენმა ისტორიულმა ხელსაქმემ გადაარჩინა საქართველოში მრავალი ოჯახი ძნელბედობის ეამს. აქ მზადდება ეროვნული ტანსაცმელი, გამოყენებითი ნივთები: ჩანთები, ხატის ბუდეები, წიგნის შემოსაკრავები, პატარა ჩანთები, სამაჯურები, ნაქარგი და ნაქსოვი ქუდეები და სხვადასხვა სახის სუვენირები. მოწაფეები უამრავ გამოფენებში იღებენ მონაწილეობას. ჩვენ ვცდილობთ, წინაპრების მიერ გადმოცემულ ოსტატობას ცოტათი მაინც მივუახლოვდეთ ხელსაქმეში. უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის კურთხევით, სასურველია, თანამედროვე ტანსაცმელი გამშვენდეს ძველი ქართული ორნამენტით, რასაც ქართველი მანდილოსნები, მართლაც, ახერხებენ. თვითონაც ღამაში ტანსაცმლით იმოსებიან

და ოჯახის წევრებსაც უმზადებენ მშვენიერ სამოსს, როგორც ნაქსოვს, ასევე ნაქარგს.

– თქვენ, ალბათ, შემოინახეთ ხელსაქმით ცნობილი ოსტატების და მათი ხელსაქმის შესახებ ინფორმაცია.

– დიას, ისინი საქართველოს ხელოვნებისა და ეთნოგრაფიულ მუზეუმებშია შემონახული – ხევისურული სამოსლის ექსპონატები 2-3 საუკუნისაა. მდიდარი მასალაა თავმოყრილი ბარისახოს ხევისურეთის მუზეუმში. ხევისურული ნაქარგობისა და ქსოვილის თვალსაჩინო ნიმუშები ინახება „ეროვნულ ტრადიციათა დაცვის ცენტრში – ბახტრიონში“, სადაც ძირითადად თავმოყრილია ჩვენი საგვარეულოს ნათესავებისა და ახლობლების სამოსლის კომპონენტები და ცალკეული დეტალები. ნიმუშები მრავალ ოჯახშია დაცული და რაც ძალზედ სასიხარულოა, ამჟამად გამზადებულ-შექმნილი ხევისურული ტალავარი კვლავაც აგრძელებს და სიცოცხლეს უნარჩუნებს იმ ძველ გზას, რომელზედაც იდგა ჩვენი უძველესი კულტურის მქონე ხალხი.

საუბარი ჩაიწერა ლიტერატორმა
მარიამ ქსოვრელმა





2012 წლის 22 დეკემბერს სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში, არქიმანდრიტმა ღაზარემ (გაგნიძე) მონოზვნად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილები: პელაგია ჩხიტუნძიძე, სახელად ეწოდა ნისიმე და მარიამ ნიშნიანიძე, ეწოდა იოანა.



18.12.2012 – სამთავროს ფერისცვალების ტაძარში გასრულდა წმიდა მოციქულთასწორთა მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის სამარხის მოზაიკით გამშვენება. მხატვრობის ავტორები არიან მიხეილ სოზიაშვილი და ბადრი ბაკურაძე; კონსულტანტები – დეკანოზი ბესარიონი (მენაბდე) და ქეთევან აბაშიძე. მოციქულთასწორთა სამარხის ქტიტორია ბატონი თამაზ შარიქაძე.



